# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 10 აგვისტო, 2012 წელი.

№152 (7028)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ამ ნავალნის იმედი აქვს სააკაშვილს?

2



## ეს იქნება ჩვენი ერთობლივი გამარჯვების საწინდარი

### ბიძინა ივანიშვილის განცხადება

ოთხი წელი გავიდა აგვისტოს ომის შემდეგ. ის უმძიმესი დღეები მაშინ ყველამ ერთად გადავიტანეთ და განვიცადეთ.

ომის შედეგები ძალიან ტრაგიკულია ჩვენი ქვეყნისთვის - ნგრევა და მსხვერპლი, ახალი ოკუპირებული ტერიტორიები, რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება. ათეულ ათასობით ადამიანი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.

მინდა ქედი მოვიხარო იმ გმირების წინაშე, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლაში დაეცნენ. მათი ხსოვნა ჩვენი გულებიდან არასოდეს წაიშლება.

მინდა მივუსამძიმრო ომში დაღუპულთა ოჯახებს და თანადგომა გამოვუცხადო მათ.

იმავდროულად, მე მჯერა, რომ საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკული ეპიზოდიდან სწორ დასკვნებს გამოვიტანთ და სწორად გათვლილ სამომავლო გეგმებს დავსახავთ. მწამს, რომ სწორად გათვლილი და თანამიმდევრული სტრატეგიით ჩვენ შევძლებთ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლებას და ქართველებსა და ოსებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის სრულფასოვნად აღდგენას.

ვიცი, ამ გზაზე ბევრი სირთულე გველობება, მაგრამ ამასთან მჯერა, რომ ჩვენ ერთად შევძლებთ ამ პრობლემის გადაჭრას. ეს განცხადება კი მინდა დავასრულო ეროვნული მოძრაობის დროს აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული ვოვა ვეკუას სიტყვების პერიფრაზით : მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც ვიპოვით გზას ოსი და აფხაზი ხალხის გულებისკენ და ეს იქნება ჩვენი ერთობლივი გამარჯვების საწინდარი.

ჩვენ გავიმარჯვებთ! საქართველო გაიმარჯვებს!

## სამხედრო ოპერაციის უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო როკის გვირაბის ჩაკეტვა და არა ქალაქის აღება

3

## რუსეთი საქართველოს ჰააგის ტრიბუნალით ემუქრება

4



## ქართული არჩევნები: ბრძოლა ქვეყნისათვის

8

## რა გავლენას ახდენს საქართველოზე მსოფლიოში ხორბლის გაძვირება?

4



შეფასება

# ამ ნავალნის იმედი აქვს სააკაშვილს?

**საქართველო აგვისტოს ომის დროს დაღუპულ მეომართა ხსოვნას ორი დღეა პატივს მიაგებს. რატომ ეკიდა გადამწვარ გორში სამხარეო ადმინისტრაციის შენობას დიდი ბოქლომი 4 წლის წინათ აგვისტოში, ჰქონდათ თუ არა სტრატეგია ქართველ მეფეებს მტერთან ბრძოლაში და რამდენი წელი უნდა ველოდოთ რუსეთის დაშლას? — ამ და სხვა საკითხებზე For.ge ესაუბრა ექსპერტ გია ხუხაშვილს.**



**— 2008 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას პრიორიტეტად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება არა თუ არ დაუსახლებია, საერთოდ შეწყვიტეს ამაზე საუბარი.**

— თვითონ ამ ხელისუფლების უგუნური ქმედებების გამო დაკარგული ტერიტორიების პრობლემის მოგვარების საკითხი გადაიწევა ხოლმე. დანაშაულის მიფარცხვა, დავიწყება და მეორე პლანზე გადაწევა — ეს არის ხელისუფლების ამოცანა. როდესაც ჩვენ 2008 წელს გვახსენებენ, ჩვენ სხვა კადრებიც გვახსოვს — ჰალსტუხის ღეჭვისა და გორის მიწაზე ფორთხვის დამთრგუნველი კადრები მთავარსარდლის მონაწილეობით. ხელისუფლება ამ პრობლემის უკანა პლანზე გადაწევას ცდილობს იმიტომ, რომ დანაშაულის დაფარვა დამნაშავის ბუნებრივი ქცევაა.

ყველაზე ცინიკური ის გახლავთ, რომ სააკაშვილმა ყველას მოუწოდა ამ ორ დღეს პოლიტიკური პიარისგან თავი შეეკავებინათ და მის მოწოდებას ყველა პარტია ასრულებს... მის გარდა. ის ორი დღეა ეკრანებზე ჩანს, ხან ცრემლებითაც კი. მათი მხრიდან ადეკვატური საქციელი იმ დაშვებული შეცდომების მონანიება იქნებოდა, რამაც 2008 წლის აგვისტომდე მიგვიყვანა. თუნდაც, იმ სიის გამოქვეყნება, ვინ იდგა აგვისტოს დღეებში წითელ ხიდზე და საზღვარზე გადასასვლელად.

ქართველი ერი მართლმადიდებელი ერია და ყველაზე კარგი მონანიება და ბოდიშის მოხდა იქნებოდა. ამის მაგივრად, ხელისუფლება აგრესიას საკუთარი ხალხის მიმართ ამჟღავნებს, თითქოს ჩვენ ვიყოთ რაიმეში დამნაშავე. იმ დღეებში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპული თითოეული ადამიანის სიცოცხლე მათ კისერზეა, რადგან ხელისუფლებაც თანამონაწილეა ამ ტრაგედიის.

2008 წლის 10 აგვისტოს მე და ლაშა ტუღუში გორში რომ ვიყავით, ქალაქის სამხარეო ადმინისტრაციის შენობას დიდი ბოქლომი ედო და ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა, ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი იქ არ იმყოფებოდა. პროზექტურაშიც ვიყავით, ბიჭების ცხედრები ჯერ გაციებულიც არ იყო და ხელისუფლებას ისინი უკვე მიტოვებული ჰყავდა. ეს იყო რეალური სურათი, რაც, სამწუხაროდ, ჩემი თვალით ვნახე.

**— პრეზიდენტმა სააკაშვილმა გორში, სამხედრო აკადემიაში, სიტყვით გამოსვლისას ისევ ქართველ შადიმანებზე დაიწყო საუბარი, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლა და ქვეყნის არევა სურთ. რამდენად მართებული იყო ხელისუფლის ეს გამოსვლა გუშინდელ დღეს?**

— სააკაშვილმა საუბრისას თან საქართველოს ავტორიტეტები მოიშველია — ქაქუცა, ცოტნე. სააკაშვილი საუბრობდა, რომ საქართველოს მეფეები და გმირები ყურადღებას არ აქცევდნენ, რამდენად ძლიერი იყო მტერი, შეიძლებოდა თუ არა შებრძოლება, თვალდახუჭულები ეშვებოდნენ მტერთან ბრძოლაშიო. არ ვიცი, ამას სისულელის გარდა, რა დავარქვა. სწორედ საქართველოს მეფეები გახლდნენ დიდი სტრატეგები, რომლებიც უთანასწორო ბრძოლების სტრატეგიებს ზუსტად თვლიდნენ. სააკაშვილი საქართველოს ისტორიას ისაკუთრებს. ადრე თუ ამბობდა, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყებოდა, ახლა მიხვდა, რომ ამის საუბარი უგუნურებაა და ახლა თავის მენტალიტეტზე დაიწყო მისი მორგება. იმ დიდ ადამიანებს აწერს უგუნურ ფსიქოლოგიას, რაც თვითონ გააჩნია.

**— „ქართულ ოცნებას“ ძირითად პრიორიტეტებად ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა აქვს დასახელებული. მერამდენე ადგილი აქვს დათმობილი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას?**

— საერთოდ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება რეიტინგებით არ უნდა იზომებოდეს. ამას განსაკუთრებული ადგილი უკავია და მისი ფასი განუზომელია. თუ სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, განათლების ფასი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ტერიტორიების ფასი განუზომელია და ამის რეიტინგული გაზომვა, ვფიქრობ, ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელიც იქნებოდა. ეს ყველაზე მტკივნეული და ყველაზე უპირველესი საკითხია.

**— სააკაშვილმა გუშინწინდელ გამოსვლაში აღნიშნა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებებს ჩვენი ეროვნული ინტერესების დათმობის ხარჯზე არ დავიწყებთო. აპირებს „ქართული ოცნება“ ეროვნული ინტერესების დათმობას?**

— სააკაშვილი მხოლოდ თავისთვის და ზოგიერთი თავისი თანაგუნდელის ტვინის ასარევად საუბრობს ასე, თორემ ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ეს ასე არ არის. სწორედ საქართველოს ინტერესების გათვალისწინებაზეა საუბარი, როდესაც რუსეთთან რაღაც მოლაპარაკებებზე ვსაუბრობთ. მოყვარესთან საუბარს არაფერი არ უნდა, მტერს უნდა მოელაპარაკო, რომ პრობლემები მოაგვარო. სააკაშვილის რიტორიკა ძალიან დრომოჭმულია და ქართული საზოგადოება ამას აღარ „ჭამს“. მეორე კურიოზი მის გამოსვლაში გახლდათ ის, რომ სააკაშვილმა განაცხადა, რუსეთი რომ დაინგრევა, მერე დავიწყებთ მასთან მოლაპარაკებებსო. თუ ჩვენ რუსეთის დანგრევას ველოდეთ, კიდევ 200 წელი შეიძლება გავიდეს, რომ ჩვენი პრობლემები გადავწყვიტოთ. აპელირება იმაზე, რომ რუსეთი შეიცვლება და ჩვენ მერე დავიწყებთ მასთან მოლაპარაკებებს, სისულელეა. რუსეთი იყო და დარჩება ისეთი, როგორიც არის, ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს. აქედან გამომდინარე, ჩვენ იძულებული გავხდებით, მასთან მოლაპარაკებები დავიწყოთ.

ილუზია იმის, რომ რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლება მოვა და სააკაშვილი მერე მოაწესრიგებს პრობლემებს, კლასიკური აბსურდია. ვინც არ უნდა მოვიდეს რუსეთის ხელისუფლებაში, მათი იმპერიული ზრახვები არსად არ წავა.

**ქართული მედიით გაპიარებულმა სერგეი ნავალნიმ, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას მოსწონს და, ეტყობა, მის მოსვლას ელოდება, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ხელისუფლებას წერილი მისწერა, სადაც პირდაპირ თბილისზე თავდასხმას სთხოვდა და ეს წერილი შეგიძლიათ თქვენ თვითონ ნახოთ. პუტინსაც კი არ განუცხადებია ეს ხმამაღლა. ამ ნავალნის იმედი აქვს სააკაშვილს?**

ეს არის სააკაშვილის ნამდვილი სახე. ანტიპუტინი პრობლემის გადაწყვეტას არ ნიშნავს. ჩვენ მტერთან სწორ ენაზე საუბარი უნდა ვისწავლოთ, თუ გვინდა პრობლემები მოვაგვაროთ.

ეკა ბუჩუკური



ინფორმაცია

## ვისთან გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულებები?

**თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართუ ბანკის“ საჩივარი მიიღო, რომელიც დროებითი მმართველობის დროს 50 მილიონი ლარის ოდენობის საკრედიტო ხელშეკრულებების გაუქმებას ითვალისწინებს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა განუცხადა.**

**ჯავახიშვილმა ის კომპანიებიც დაასახელა, რომლებზეც ბანკში ვლადიმერ უგულავას დროებითი მმართველობისას 50 მილიონი ლარის ოდენობის საკრედიტო ხელშეკრულებები გაფორმდა — „ბეტა მაქსი“, „აქსისი“, „ტიფლის დეველოპმენტი“ და „ფროფერთი ინვესტი“.**

**ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, ამ 4 კომპანიიდან გენერალური ხელშეკრულება მხოლოდ „ბეტა მაქსთან“ არსებობდა, თუმცა გენერალური ხელშეკრულება არანაირ ვალდებულებას არ წარმოადგენს ბანკისთვის, რომ მან კრედიტი პირობების გარეშე გასცეს.**

**— ბანკს ამ კრედიტების გაცემის რესურსი არ გააჩნია. ამ ხელშეკრულებებში ყველა პირობა მიმართულია ბანკის საწინააღმდეგოდ, აქედან გამომდინარე, მათ გაუქმებას ვითხოვთ, — განაცხადა ჯავახიშვილმა.**

**„ქართუ ბანკის“ განცხადების მიხედვით, ბანკის დროებითმა მმართველობამ, რომლებიც სასამართლომ აღსრულების ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე ბიძინა ივანიშვილის ქონების დაყადაღების პერიოდში მიავლინა, 4 დეველოპერულ კომპანიასთან 50 მლნ დოლარის საკრედიტო ხელშეკრულებები გააფორმა, რომლის გაცემის შესაძლებლობაც ბანკს ფიზიკურად არ აქვს.**

**ბანკი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულებები პროცედურული ნორმების დარღვევით გაფორმდა. კერძოდ, დაირღვა „ბანკი ქართუს“ სესხების გაცემის და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი პროცედურული ნორმები.**

ინტერპრესნიუსი

სარედაქციო ფოსტიდან

# როგორც ჩანს, არამზადები არ იცვლებიან, ისევ არამზადებად რჩებიან

**ჩემო მეგობრებო „საქართველოს რესპუბლიკიდან“, ახლა საირმეში ვარ და თქვენი გაზეთის იმ ნომერს, სადაც „მაესტროს“ მსმენელ-მაყურებელთაგან ფეისბუქზე ვითომ პუბლიცისტი გიგა ლიპარტელიანია მხილებული, აქ გავეცანი.**

მართალი გითხრათ, სულაც არ გამკვირვებია ადამიანების ის აღშფოთება, რასაც ისინი გამოხატავენ ამ ფულის გულისთვის ეშმაკისთვის სულმიყიდულ ვაიპუბლიცისტსა თუ ვაიჟურნალისტზე, რომელსაც მე ბავშვობიდან ვიცნობ როგორც ჩემს სოფლელს.

ჩოხატაურის რაიონში არის სოფელი წიფნაგვარა, სადაც ფოცხიშვილები ვცხოვრობთ. დღეს გვარშეცვლილი გიგა ლიპარტელიანის მამა მურთაზი და ბაბუა აკაკი ფოცხიშვილები, ჩემი სახლიკაცები, დიდებული ადამიანები იყვნენ. მურთაზი ადრე გარდაიცვალა, გიგას დედა გათხოვდა ვინმე ლიპარტელიანზე და ეს ჩვენი მურთაზ ფოცხიშვილის ბიჭი, ახლა უკვე გერი, მამინაცვლის გვარზე დაიწერა. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, მამის სული დაივიწყა და მამინაცვლის მზის ფიცილი დაიწყო.



მაგრამ მთავარი და არსებითი, რასაკვირველია, ეს არ არის, მთავარი და არსებითი ის არის, რომ ყოფილი ფოცხიშვილი და ახლა უკვე გალიპარტელიანებული ახალგაზრდა კაცურ სინდის-ნამუსს ისეთივე კაიხელა მანძილით დაშორდა, როგორც საკუთარ გვარს, რაც იმაში გამოიხატა, რომ იგი უკვე წლების მანძილზე მუქთა ფულის შოვნის მიზნით — არცრა არამზადულ და არცრა არაკაცურ ხერხს არ ერიდება. ისესხებს, აღარ დაგიბრუნებს (ჩემი ექვსსასლარიანი ვალი აგერ ოთხი წელიწადია აღარც ახსოვს), ვითომ შენზე წერილის ანდა სულაც წიგნის დაწერას შეგპირდება, ჰონორარს წინასწარ გამოგართმევს, მაგრამ მერე აღარც წერილი ჩანს და აღარც წიგნი.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის სალანძღავ წიგნს, რომლის გამოც იგი „მაესტროს“ პოლიტმეტრში მიუწვევიათ, აშკარაა, რომ წინასაარჩევნოდ ნაციონალების დაკვეთითა და დაფინანსებით დაუწერია. როგორც ჩანს, ჰონორარის გარდა, ალბათ, პარლამენტის წევრობასაც არიან შეპირებულნი.

რა თქმა უნდა, არც „ქართული ოცნების“ კოალიცია და, მით უმეტეს, არც ბიძინა ივანიშვილი, არ იკადრებენ, თორემ ასეთი აღვირახსნილი ცილისწამებისთვის ეს პოლიტიკური არამზადა ნამდვილად ღირსია, რომ სასამართლოს წინაშე წარსდგეს და პასუხი აგოს თავისი ბოროტი სისულელეებისთვის.

ხელისუფლებაში მესამე ვადით დარჩენის არარეალური ჟინით შეპყრობილ ნაციონალებს კი ნუთუ ისე დაუდგათ საქმე, რომ ეშმაკთან ზავშეკრულ ლიპარტელიანისთანა (ფოცხიშვილები ძალიან გადავრჩით!) ადამიანების იმედადღა დარჩენილან?

და კიდევ ერთი... ასე ნამდვილად ვერ შევქმნით ვერც წინასაარჩევნო კონკურენტუნარიან და ვერც თავისუფალ, დემოკრატიულ გარემოს, არ შეიძლება, რომ თან ვითომ წინასაარჩევნო სამშვიდობო დეკლარაციაზე ხელისმოწერას ვთხოვდეთ პარტიებს, თან მოსყიდულ მხარდამჭერებს ქვებს ვასროლინებდეთ და თან გიგა ლიპარტელიანისთანა არამზადებს და თაღლითებს სამარცხვინო წიგნებს ვაწერინებდეთ პოლიტიკურ მეტოქეებზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ წყალწაღებული ხელისუფლებისგან ხავსის ჩაბღაუჭებაზე მეტყველებს.

აშკარაა, რომ ხალხს ძალიან მობეზრდა ის ორვადაგამოვლილი აწ უკვე ბერწი და ძალიან ბევრი ბოროტებისა გამო ჯერ კიდევ პასუხუგებელი ხელისუფლება, რომელსაც არამც და არამც არ ეთმობა აგრერიგად გაფუფუნებული ცხოვრება.

**ალექსანდრე ფოცხიშვილი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

კურორტი საირმე.

# სიმართლე კი ასეთია...

განსჯა

**— ერთგან თქვენ აღნიშნეთ, რომ თოფიანი კაცი ჯარისკაცს არ ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება თავდაცვის სისტემას უპრეცედენტოდ აფინანსებდა და რეზერვისტების მომზადებაზეც ზრუნავდა, აგვისტოს ომმა დაგვანახვა, რომ თავდაცვის სფერო არ აღმოჩნდა ისეთი, როგორ უძლეველადაც ამ სფეროს წარმოჩენას ცდილობდნენ. აგვისტოს ომიდან ოთხი წლის თავზე ძალიან ბევრს საუბრობენ, რომ ამ ომის აცილება თავისუფლად შეიძლებოდა.**

— ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა კი არა, აუცილებელიც იყო იმ პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ჯარი არამცთუ არ იყო მზად ამისთვის, ფაქტობრივად, ჯარი არ გვყავდა.

**— უამრავი თანხა იხარჯებოდა ჯარის სრულყოფისთვის. ამის მიუხედავად, რეალობა როცა დადგა, რატომ ვერ მივიღეთ შედეგი?**

— ყველაფერი განისაზღვრება შედეგით. ეს ხელისუფლება ემზადებოდა ომისთვის, შედეგად კი მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. თანაც, ეს შედეგი მივიღეთ, რაღაც ღღენახევარში, ორ დღეში. რაც ამათ მოამზადეს, ყველაფერი იყო იმისთვის, რომ ასეთი შედეგი დამდგარიყო.

**— თქვენ აცხადებთ, რომ 1992 წელს სამშობლოსთვის თავგანწირვა რიგითი ჯარისკაცებისა და მოხალისეებისთვის სიხარულის მიმნიჭებელი იყო, განსხვავებით, აგვისტოს ომისგან, სადაც მასობრივად ასეთი განწყობა არ შეიმჩნეოდა და ერთეულებმა დადეს თავი სამშობლოსთვის. ასეთი რა გარდატეხა მოხდა ჯარისკაცის ფსიქოლოგიაში ამ ოცი წლის განმავლობაში?**

— ამის განსაზღვრა რთულია, ბევრია საფიქრალი, რადგან მართლა სერიოზული ანალიზია საჭირო იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიცვალა დღევანდელი ჯარისკაცის მენტალობაში. ვფიქრობ, ძირითადი აქ მაინც არის ჯარისკაცების ხელფასი. რასაკვირველია, ყველას შესახებ ამის თქმა არ შეიძლება. უამრავი ბიჭი იყო, რომელთაც დაჭრის შემდეგაც უკან უნდოდათ დაბრუნება და ბრძოლა. მაგრამ ზოგადი ფონი, რომელიც იქმნება, უკვე აიძულებს ადამიანს იმისკენ გადაიხაროს, რომ საკუთარ თავს მიხედოს. რასაკვირველია, ქართული სულისკვეთება, სამშობლოს სიყვარული ქართველში არის. ზოგადად ქვეყანაში ისეთი სიტუაციაა, რომ მთავარი და ყველაზე კარგი ისაა, რომ შენი ფული იშოვო, სამშობლოს კი ვიღაც მიხედავს. რაღაც გაურკვეველი დეფორმირება მოხდა ფსიქიკაში და სერიოზული ანალიზია გასაკეთებელი, რატომ მოხდა ასე.

**— ომის დროს ეს იმითაც ხომ არ იყო განპირობებული, რომ კაპრალი ხედავდა, რომ მეთაურები დაბნეულები იყვნენ და გარბოდნენ. მოგეხსენებათ, ჯარში ზედა ეშლონის მაგალითი გადამდებია ქვედა ეშელონებისთვის.**

— რასაკვირველია, მაგალითი უნდა მისცეს პირველმა პირმა. მეთაურმა უნდა მისცეს მაგალითი. ომის დროს პრეზიდენტს ჰქვია უმაღლესი მთავარსარდალი. ჩვენ როცა ბრძოლის ველზე ვიყავით, არ ვიცოდით, რა ხდებოდა გორში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვხედავდით, ჩვენი გაერთიანებული შტაბის უფროსი რას აკეთებდა. უბრალოდ, ვერაფერს ვერ აკეთებდა, ვერანაირ საბრძოლო მოქმედებებს ვერ მართავდა. ჯარისკაცს სჭირდება, რომ ოფიცერი გეგმავდეს და მართავდეს და არა — შეტევაზე მიდიოდეს. შეტევაზე ჯარისკაცი წავა. მეთაურმა, ოფიცერმა უნდა დაგეგმოს თავისი ჯარისკაცის როგორც შეტევაზე წასვლა, ისე ჯარისკაცის პოზიციების გამაგრება, უკან დახევა. ოფიცერს, პირველ რიგში, დაგეგმარება მოეთხოვება. ჯარისკაცი დაგეგმარების ხელოვნებას ფლობს თუ არა, ეს არაა მთავარი. მთავარია, ჯარისკაცმა იცის, რომ ოფიცერმა უნდა გააკეთოს ეს და როცა ხედავს, რომ ეს ასე არ არის, სერიოზულ პრობლემა გვექმნება.

> ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა კი არა, აუცილებელიც იყო იმ პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ჯარი არამცთუ არ იყო მზად ამისთვის, ფაქტობრივად, ჯარი არ გვყავდა.

**— რატომ ვერ დაგეგმეს ოფიცრებმა ოპერაციები?**

— ვერ დაგეგმეს იმიტომ, რომ შეიარაღებული ძალებიდან გაყარეს ყველა განათლებული, მცოდნე, გამოცდილი ხალხი. ლეიტენანტებს მიაწებეს პოლკოვნიკის სამხრეები და ისინი მაინც ვერ გახდნენ პოლკოვნიკები, რადგან სანამ ლეიტენანტი პოლკოვნიკობამდე მივა, ბევრი დროს გადის. ამ დროში მან უნდა შეიძინოს განათლება, გამოცდილება, ცოდნა, ინტელექტი. მხოლოდ თეორიული და პრაქტიკული მასალის შეხამებით ვღებულობთ სიბრძნეს.

**— ერთგან ბრძანეთ, რომ ომისთვის სულისკვეთებაა საჭირო. აფხაზეთის ომის დროს კავშირგაბმულობის საშუალებები არ იყო, მაგრამ საბრძოლო სულისკვეთება იყო. სამაჩაბლოს ომის დროს კი პირიქით მოხდა, კავშირგაბმულობა იყო, მაგრამ სულისკვეთება მოიკოჭლებდა.**

— ყველაფერი არასწორად იყო გაკეთებული, ამიტომაც სავალალო შედეგი მივიღეთ. კავშირგაბმულობის საშუალებები მართლაც იყო, ჩემთანაც იყო მომაგრებული მეკავშირე ოფიცერი, რომელიც მუშაობდა. მე გავდიოდი კავშირზე, მაგრამ იმისთვის, რომ კავშირგაბმულობამ იმუშაოს, სისტემა უნდა შეიქმნას, რაც მმართველობის ზემო რგოლმა, გენერალურმა შტაბმა, მისმა უფროსმა უნდა შექმნას, ჩაიბაროს, გადაამოწმოს. ეს ყველაფერი მშვიდობის დროს უნდა იყოს გათამაშებული. ჩვენთან კი როცა ტარდებოდა სწავლება, მას გეგმავდნენ „სამოქალაქოები“, ე.წ. პოლიტიკოსები. ყველაფერს ისინი გეგმავდნენ. საბოლოო ჯამში, მივიღეთ კარგად ჩაცმული, კარგად შეიარაღებული, კარგად ნაკვები საალუმე შემადგენლობა.

**— ჩვენი ხელისუფლების მთავარი შეცდომა მართლაც ცხინვალში შესვლა იყო?**

— ქართველი ექსპერტების არანაირად არ მჯერა, სასაცილოდ მეჩვენება სახელი „ექსპერტი“, მაგრამ ნებისმიერი სამხედრო გეტყვით, რომ ქალაქის აღება — ეს არის ბოლო მომენტი. ქალაქის ასაღებად იკარგება უზარმაზარი დრო, უზარმაზარი რესურსი, რომელიც, როგორც წესი, გამართლებული არ არის. ანტიკური ხანიდან ქალაქის აღება ყველაზე დიდი პრობლემა იყო.

**— როგორ უნდა აევლოთ გვერდი ცხინვალისთვის ისე, რომ კონტროლი დაემყარებინათ სეპარატისტების მიერ დაკავებულ რეგიონებზე?**

— ნებისმიერი ქმედება წინასწარ იგეგმება. სამხედროები ყოველთვის წინასწარ შემუშავებული გეგმით მოქმედებენ, გეგმის შემუშავებას დიდი დრო მიაქვს, ბევრი ხალხი მუშაობს, სხვადასხვა უწყებაა ჩართული მის შექმნაში. გეგმა, თუ როგორ უნდა დაგვემყარებინა კონტროლი და საქართველოს იურისდიქცია გაგვევრცელებინა ჩვენს ტერიტორიაზე, რომელსაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი დაარქვეს, შემუშავებული იყო. სხვათაშორის, კარგი გეგმა იყო. ნებისმიერი სამხედრო გეტყვით, რომ რომლითაც სამხედროებს უნდა ემუშავათ, კარგი იყო. ამ ოპერაციის უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო როკის გვირაბის ჩაკეტვა და არა ქალაქის აღება.

## სამხედრო ოპერაციის უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო როკის გვირაბის ჩაკეტვა და არა ქალაქის აღება

სამაჩაბლოს დაბრუნების გეგმა არსებობდა. თუმცა ჰოლივუდის ფერადი ფილმებით მიღებული სამხედრო ცოდნით „აღჭურვილმა“ ჩვენმა სამოქალაქო პირებმა ცხინვალს შეუტიეს, რამაც შესაბამისი შედეგი მოიტანა. ამის შესახებ **For.ge**-სთან საუბარში სამხედრო ექიმი და რუსეთ-საქართველოს ომის დროს სახმელეთო ჯარების სამედიცინო სამმართველოს უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა **ქოიავა აცხადებს.**



თავისთავად, ქალაქი არაფერი არ არის, სახლები დგას და არანაირი სტრატეგიული დანიშნულება არ აქვს. ბრძოლის შედეგი ის არის, რომ ქალაქი ავიღეთ?! მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინგრადის აღების გამო მესამე რეიხმა უძლიერესი დარტყმა მიიღო თვითონ, როდესაც შეუტია სტალინგრადს. ეს ყველამ ვიცით, სტალინგრადში დასამარდა მესამე რეიხი. იგივე დაგვემართა ჩვენ, შევუტიეთ ქალაქს. რატომ შევუტიეთ? იმიტომ, რომ ეს გადაწყვიტეს „სამოქალაქოებმა“, ხალხმა, რომლებსაც არაფერი საერთო არ აქვთ სამხედრო მეცნიერებასთან, სამხედრო ხელოვნებასთან და, საერთოდ, ჯართან.

**— ამ „სამოქალაქოებში“ ვის გულისხმობთ?**

— თქვენ არ იცით, ვინ იყო არმიის სათავეში? — კეზერაშვილი, გოგავა, გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა ადამიანი, რომელსაც არანაირი სამხედრო განათლება არ ჰქონდა.

**— თქვენ აცხადებთ, რომ 7 აგვისტოს გეგმა არსებობდა და ეს გეგმა გადააგდეს. ეს გეგმა ზუსტად 2008 წლის აგვისტოსთვის იყო გათვლილი?**

— ომის მერე, 1993 წლის შემდეგ, საქართველოში კიდევ არსებობდა შეიარაღებული ძალები. გაგეცინებათ, მაგრამ 2003 წლამდეც კი იყო ჯარი. მართალია, ჩვენი ისტორია თურმე 2003 წელს დაიწყო, რაც ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ 90-იან წლებში იყვნენ სამხედროები და ამ გეგმაზე მუშაობდნენ, თუ როგორ უნდა დაებრუნებინათ საქართველო. საერთოდ, ნებისმიერ ქვეყანას ყოველთვის აქვს გეგმა მისი მეზობლის ტერიტორიიდან შეტევის მოგერიებისთვის. დარწმუნებული ვარ, ესპანეთს ექნება პორტუგალიის საზღვრიდან მოწინააღმდეგის შემოსვლის მოგერიების გეგმა. არა იმიტომ, რომ ესპანეთი ემზადება პორტუგალიასთან საომრად, არამედ ხომ შეიძლება, ვიღაცამ დაიპყროს პორტუგალია და მერე შემოუტიოს ესპანეთს?! ამიტომ ეს გეგმა არსებობს, ჩვენ გვქონდა პრობლემა. ჩვენ უნდა დაგვებრუნებინა ჩვენი მიწები. ამიტომ სამხედროები ისხდნენ და მუდმივად მუშაობდნენ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბრძოლო მოქმედებებით დაბრუნების გეგმაზე. ეს გეგმა მუდმივად განახლებადი იყო, ყოველი ახალი ინფორმაციით, რომელიც სადაზვერვო სამსახურს ჰქონდა, ხდებოდა ახალი ელემენტების შემუშავება, გეგმის შეცვლა, მოდიფიცირება. პლასტიკური გეგმა იყო, მაგრამ ჩვენმა „სამოქალაქოებმა“, ჰოლივუდის ფერადი ფილმებით მიღებული სამხედრო ცოდნის შედეგად, შეუტიეს ქალაქს, შესაბამისი შედეგიც მივიღეთ. მინისტრი იმ დროს კეზერაშვილი იყო.

**— ვთქვათ, ყოველგვარი ცხინვალის აღების გარეშე, როკის გვირაბამდე გავსულიყავით, მაშინ რა მოხდებოდა? განა რუსეთი არ დაგვბომბავდა? ჩვენს გადასარჩენად დასავლეთი ჩაერეოდა?**

— ამაზე მარჩიელობა რთულია. მაგრამ იმ გეგმის მიხედვით უნდა ჩაკეტილიყო როკის გვირაბი, რომ რუსეთს არ ჰქონოდა შესაძლებლობა, თავისი ძალები შემოეყვანა. რუსეთი იქნებოდა, ჩრდილოეთ ოსეთი იქნებოდა, თუ ვინც იქნებოდა, დამხმარე ძალა არ უნდა მისვლოდა სეპარატისტულ რეჟიმს. შემდეგ უკვე გეგმის მიხედვით გაგრძელდებოდა მოქმედება, ევროპა დაგვეხმარებოდა თუ აზია, ეს უკვე რთული სათქმელია, მაგრამ რაღაცის გაკეთება ნამდვილად შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, თუ წავაგებდით, ასე სამარცხვინოდ არ წავაგებდით და პოსტსაბჭოურ სივრცეში არ გაჩნდებოდა ფრაზა **— როცა ვინმეს ეკითხებიან, ხომ არ გეშინიაო, პასუხობს, რატომ მეშინია, ქართველი კი არ ვარ!**

**— დღესაც ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ კიდევ არსებობს ომის საშიშროება.**

— რუსეთიდან თუ ნებისმიერი ქვეყნიდან მომავალ საფრთხეს რაც შეეხება, სახელმწიფო ყოველთვის უნდა იყოს მზად, რომ რომელიმე მხრიდან ვიღაცა თავს დაესხმება. არა მგონია, რუსეთს კიდევ დამატებითი, სერიოზული სტრატეგიული ინტერესი ჰქონდეს, გარდა იმისა, რასაც მიაღწია საქართველოსთან მიმართებით. მისი ამოცანა ბოლომდეა შესრულებული, ორი დივიზია გვიდგას ტერიტორიაზე.

**— აგვისტოს ომის დროს დაღუპულებს უაზრო მსხვერპლს ვერ ვუწოდებთ, რადგან ისინი საქართველოს შეეწირნენ, მაგრამ ხელისუფლების ქმედებიდან გამომდინარე, ხომ შეიძლება, იმ კონკრეტულ მომენტში ეს მსხვერპლი ვიღაცამ უაზროდ ჩათვალოს?**

— რაც შეეხება მსხვერპლს, სამშობლოსთვის მსხვერპლი უაზრო არასდროს არ არის. შეიძლება, ჭკვიანმა ან უჭკუო ხელისუფლებამ ადამიანების სისხლი ან გააწყალოს, ან პირიქით, საქართველოსთვის პოზიტიური გახადოს. თუმცა, შეიძლება უჭკუო ხელისუფლებამ მსხვერპლი მარაზმად გადააქციოს.

> თუ წავაგებდით, ასე სამარცხვინოდ არ წავაგებდით და პოსტსაბჭოურ სივრცეში არ გაჩნდებოდა ფრაზა — როცა ვინმეს ეკითხებიან, ხომ არ გეშინიაო, პასუხობს, რატომ მეშინია, ქართველი კი არ ვარ!

**— აგვისტოს ომიდან ოთხი წლის თავზე ქართველი ჯარისკაცების დაკრძალვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რატომ დაამთხვიეს მათი დნმ-ის ანალიზი ზუსტად ოთხ წლისთავს? ესეც პიარისთვის ხომ არ დასჭირდათ?**

— თუ გართულდა დნმ-ის ანალიზის მიღება, ალბათ, მასალა იყო დაზიანებული და ტექნიკურად გაჭირდა გამოკვლევა. ახლა პიარისთვის გააკეთეს თუ აგიტაციისთვის, რთულია ამის თქმა. მოგეხსენებათ, ჩვენი ხელისუფლების ნაბიჯები ლოგიკური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა.

**მანანა ნოზაძე**

⊙ დავა

# რუსეთი საქართველოს ჰააგის ტრიბუნალით ემუქრება



**რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მე-4 წლისთავზე მოსკოვი თბილისს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოთი ემუქრება. რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთში მიმდინარე გამოძიებამ აშკარად გამოკვეთა საქართველოს სამხედრო მოსამსახურეთა და თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი ქმედებები. რა ეტაპზეა შიდა გამოძიების პროცესი საქართველოში და რატომ ითხოვს პროცესის გაქტიურებას არასამთავრობო სექტორი?**

იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლების დამნაშავე წარმომადგენლები დაისაჯონ, რუსეთის შესაბამისი სამსახურები მაქსიმალურად ცდილობენ გამოძიების პროცედურის ინიცირებას ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში – ამ შინაარსის განცხადება რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმირ მარკინმა 8 აგვისტოს რუს ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა და იქვე დააზუსტა, რომ 2008 წლის მოვლენების საგამოძიებო პროცესს რუსეთი 2013 წლის თებერვალში დაასრულებს და რომ შეგროვილი მასალების მოცულობამ უკვე 400 ტომს მიაღწია.

შეიძლება ითქვას, რომ მასალებში, რაც კი რუსეთმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის მოამზადა, პრაქტიკულად მხოლოდ ქართული მხარეა დადანაშაულებული, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სასამართლო მხარეებს არა მხოლოდ მათ მიმართ, არამედ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიებისკენაც მოუწოდებს. ფრაგმენტებში, რომლებიც რუს ჟურნალისტებს ვლადიმირ მარკინმა 8 აგვისტოს გააცნო, ქართული მხარე არაერთი სახის სასტიკი დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული და ბევრი მათგანი აშკარად მოითხოვს მდიდარი ფანტაზიის მაქსიმალურ მობილიზებას. ასე მაგალითად, მოსკოვი თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლება აგვისტოს ომის დროს რუსეთის არმიისა და რუსი სამხედროების დისკრედიტაციას ცდილობდა და ამ მიზნით ერთგვარ სპექტაკლებს დგამდა. 8 აგვისტოს გაკეთებულ განცხადებებში ვლადიმირ მარკინი საკმაოდ შორს წავიდა და თქვა, რომ ქართული მხარე დაღუპულ ჯარისკაცებს სამხედრო ფორმას ხდიდა, სამოქალაქო ტანისამოსს აცმევდა და ასე ცდილობდა ეჩვენებინა, რომ იყო მნიშვნელოვანი მსხვერპლი ქართული სოფლების მშვიდობიან მოსახლეობაში. ასევე მარკინის თქმით, გამოძიება ფლობს მოწმეთა ჩვენებებს იმასთან დაკავშირებითაც, რომ „სპექტაკლი“, საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ასევე იდგმებოდა გორსა და სხვა მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში, ვიდრე იქ რუსეთის არმია შევიდოდა:

**„უკრაინელ დაქირავებულებს გადააცვეს რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა ფორმა და მათი მონაწილეობით გადაიღეს ფოტოები და ვიდეოკადრები, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა ძალადობისა და მარადიორობის ფაქტებს ქართულ სოფლებში მცხოვრებთა წინააღმდეგ“.**

რუსეთისგან განსხვავებით, რომის სტატუტის წევრ საქართველოს არასოდეს გამოუყენებია შესაძლებლობა და საკუთარი ინიციატივით არ მიუმართავს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის. საქართველოს მხარე თავიდანვე აცხადებდა, რომ ის საკუთარი ძალებით შეძლებდა ომის დანაშაულებათა გამოძიების ჩატარებასაც და დამნაშავეთა დასჯასაც, თუმცა ასეთ პოზიციას ზოგიერთები იმითაც ხსნიდნენ, რომ ამით თბილისი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში განვითარებული პროცესების თავის საწინააღმდეგოდ შემობრუნებას ერიდებოდა.

იმის გამო, რომ წლების წინათ დაწყებულ შიდა გამოძიებას საქართველოში არანაირი შედეგი არ მოჰყოლია, აპრილში მე-3 სექტორის წარმომადგენლებმა სპეციალური წერილით მიმართეს ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორს და მას გამოძიების დაწყება სთხოვეს. ამ პროცესში „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი ნათია კაციტაძეც მონაწილეობდა.

**„საქართველომ და რუსეთმა ჯერ კიდევ 2008 წლის სექტემბერში გამოაცხადეს, რომ მათ ომის სავარაუდო დანაშაულებათა გამოძიება ოფიციალურად დაიწყეს, თუმცა, მთელი ამ დროის განმავლობაში, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ხელშესახები წინსვლა და ოფიციალური შედეგი არც ერთ საქმეზე არ არის. ამიტომ უკვე აპრილში ჩვენ ვამბობდით, რომ დროა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი მივიდეს დასკვნამდე, რომ შიდა გამოძიებები არ არის ეფექტური და დროა, რომ მან დაიწყოს ოფიციალური გამოძიება“,** – უთხრა 8 აგვისტოს ნათია კაციტაძემ რადიო თავისუფლებას. იმისათვის, რომ ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლომ ოფიციალური საგამოძიებო პროცესი დაიწყოს, პროკურორი, უპირველეს ყოვლისა, შიდა ეროვნული საგამოძიებო პროცესის არაეფექტიანობაში უნდა დარწმუნდეს.

საგამოძიებო პროცესის სერიოზულ ხარვეზებზე, რაც ორგანიზაციის ბოლო ანგარიშებშიც არის ასახული, რამდენიმე თვის წინათ რადიო თავისუფლებას ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მკვლევარი სიმონ პაპუაშვილიც ელაპარაკებოდა:

**„ჩვენმა კვლევამ გამოძიების სასიკეთოდ ვერაფერი თქვა, რადგან მნიშვნელოვანი მოწმეები, დაზარალებულები დღემდე არ არიან დაკითხულები, ხოლო საგამოძიებო მოქმედებები მნიშვნელოვან ადგილებზე საერთოდ არ არის ჩატარებული“.**

მცდელობის მიუხედავად, რადიო თავისუფლებამ 8 აგვისტოს ვერ მოახერხა, გაერკვია იუსტიციის სამინისტროში, თუ რა ეტაპზეა ომის დანაშაულებათა შიდა საგამოძიებო პროცესი საქართველოში და რატომ გაუჩნდა მე-3 სექტორს აბსოლუტურად უშედეგო პროცესზე საუბრის საფუძველი.

რაც შეეხება ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, იქ შეტანილი სარჩელის არსებით განხილვაზე საქართველომ უარი 2011 წლის 1 აპრილს მიიღო. საუბარია 2008 წლის 12 აგვისტოს შეტანილ სარჩელზე, რომელშიც საქართველო რუსეთს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD) 1965 წლის საერთაშორისო კონვენციით აღებული ვალდებულებების დარღვევაში ადანაშაულებდა. აქცენტი კეთდებოდა პერიოდზე 1990 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე. 10 ხმით 6-ის წინააღმდეგ გაეროს სასამართლომ 1 აპრილს გადაწყვიტა, რომ ამ სარჩელის არსებითი განხილვა სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის, რადგანაც სარჩელის სასამართლოში შეტანამდე საქართველოს არ ჰქონდა ამოწურული რუსეთთან დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის რესურსი. თუმცა, საქართველოს მხარეს მაინც დარჩა ჰააგის სასამართლოში კვლავ მიბრუნების პერსპექტივა. **„სასამართლომ დატოვა შესაძლებლობა, რომ თუკი საქართველო შეეცდება ამ პრობლემის მოლაპარაკების გზით მოგვარებას, თუ კიდევ ერთი მცდელობა იქნება მოლაპარაკებისა, ჩვენ იურიდიული და ტექნიკური შესაძლებლობა გვაქვს, რომ დავბრუნდეთ სასამართლოში“,** – უთხრა 2011 წლის 1 აპრილს რადიო „თავისუფლებას“ ჰააგიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა თინა ბურჯალიანმა.

სწორედ ამგვარი მოლაპარაკებების დაწყებაა მოთხოვილი ნოტაში, რომელიც საქართველომ შუამავალი ქვეყნის – შვეიცარიის – საშუალებით რუსეთის მხარეს 2011 წლის 27 ივნისს გაუგზავნა. თუმცა, ამ პროცესში ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა ამ ეტაპზე ბევრისთვის, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

**ლელა კუნჭულია,**
რადიო „თავისუფლება“

⊙ ფასები მაღლა მიიწევს

# რა გავლენას ახდენს საქართველოზე მსოფლიოში ხორბლის გაძვირება?

**აშშ-ში ისტორიული მასშტაბის გვალვებმა მარცვლეული კულტურების მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა. გვალვის შედეგად ხორბლის მოსავლის განახევრებას მოელიან რუსეთშიც. ამგვარი ვითარების გამო მსოფლიოს ბაზრებზე ხორბლის ფასი, დაახლოებით, 30 პროცენტით გაიზარდა. პურის ფქვილის გაძვირება შეიმჩნევა საქართველოშიც. საინტერესოა, რა გავლენას ახდენს მსოფლიოში ხორბლის გაძვირება საქართველოში პურპროდუქტების ფასებზე.**

გადაწყვეტილია აგვისტოს ბოლოს „დიდი ოცეულის“ (G20) მრჩეველთა საბჭო შეიკრიბოს, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ხორბლის გარშემო არსებულ ვითარებაზე იმსჯელებს. ამ შეხვედრის საჩქაროდ მოწვევის მიზეზი გახდა გვალვები ხორბლის მწარმოებელ ქვეყნებში, ხორბლის დეფიციტი და, შესაბამისად, ფასის ზრდა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხორბლის ღირებულება საერთაშორისო ბაზრებზე 25-30%-ით გაიზარდა, თუმცა ფასების მატება ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისიდან შეინიშნება. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, უკვე შუა ივნისში პურის ფქვილი თითქმის 50 პროცენტით გაძვირდა.

დღევანდელი ფქვილის ფასი, ხვალინდელიც და სექტემბრის ფასიც იქნება იმ ნიშნულზე... დღეს 36-დან 40 ლარამდე მერყეობს ერთი ტომარა პურის ფქვილის ფასი. ეს არის საკმაოდ კომფორტული ფასი პურის ქარხნებისთვის, რათა პურის გაძვირება არ მოხდეს... ლევან სილაგაძე

პურის ფქვილის საცალო ფასის ზრდა შეინიშნება საქართველოშიც, თუმცა, საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგაძე ირწმუნება, რომ პირველი ხარისხის ფქვილის ფასი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა: **„დღევანდელი ფქვილის ფასი, ხვალინდელიც და სექტემბრის ფასიც იქნება იმ ნიშნულზე... დღეს 36-დან 40 ლარამდე მერყეობს ერთი ტომარა პურის ფქვილის ფასი. ეს არის საკმაოდ კომფორტული ფასი პურის ქარხნებისთვის, რათა პურის გაძვირება არ მოხდეს“.**

ლევან სილაგაძეს უახლოეს მომავალში პურის ფასის შენარჩუნების შესახებ განცხადების საფუძველს აძლევს ხორბლის ის მარაგი, რომელიც საქართველოს კომპანიებმა ყაზახეთში დემპინგურ ფასად შეიძინეს. აღმოჩნდა, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ, როდესაც რუსეთმა ხორბლის ფასი გაზარდა, საქართველოს კომპანიებმა მიმართეს მეორე მომწოდებელს, ყაზახეთს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა რეალიზებული შარშანდელი უხვი მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი: **„ყაზახეთში შედარებით იაფი იყო ხორბალი და მათ ძალაუნებურად უნდა გაეთავისუფლებინათ თავიანთი შესანახი მეურნეობები იმისათვის, რომ ახალი ხორბალი, რომელიც სექტემბერში მოდის, დაებინავებინათ. ამ დროს მოხდა საკმაოდ ნორმალურ ფასად ხორბლის შემოტანა საქართველოში, დაბინავება, და ახლა ჩვენი წისქვილკომბინატები ყაზახეთიდან შემოტანილი ხორბლით მუშაობენ, ანუ ფქვილის ბაზარზე სტაბილურობაა“.**

**მთლიანად სტაბილურდება ფასი. მართალია, მაღალი ფასია, მაგრამ ის სტაბილური ხდება...** ლევან სილაგაძე.

ლევან სილაგაძე ვარაუდობს, რომ უახლოეს ხანებში მსოფლიოს ბაზრებზეც სტაბილურობა დამყარდება, რადგან ხორბლის მთავარი მომწოდებლები არ აპირებენ ექსპორტის შეზღუდვას, ხოლო „დიდი ოცეული“ ამ სფეროში არსებული პრობლემების დაძლევას ცდილობს: **„მთლიანად სტაბილურდება ფასი. მართალია, მაღალი ფასია, მაგრამ ის სტაბილური ხდება“...**

შედარებით პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს მსოფლიო ბანკის აგრარული სფეროსა და სოფლის განვითარების პროგრამების ყოფილი დირექტორი რობერტ ტომპსონი. მისი აზრით, ამერიკაში გვალვების გამო მოსავლის განადგურების შედეგები სურსათის მსოფლიო ბაზრებზე სრულად რამდენიმე თვეში აისახება.

**„ვერაფერი დაამხობს მთავრობას მშიერ ხალხზე უფრო ჩქარაო“,** – ამბობს რობერტ ტომპსონი, რომელსაც არ უკვირს, თუ რატომ არიან პანიკაში როგორც მომხმარებლები, ისე მთავრობები ამერიკაში გვალვით გამოწვეული მარცვლეული კულტურის მოსავლის შემცირების გამო.

სწორედ მარცვლეულზე ფასების მატება დასახელდა ორიოდე წლის წინათ საქართველოში მაღალი ინფლაციის ძირითად მიზეზად, თუმცა ექსპერტთა ნაწილი ირწმუნება, რომ იმდროინდელი სამომხმარებლო ფასების ზრდა ეროვნული ბანკისა და მთავრობის პოლიტიკის დამსახურება იყო. **ახლა, როდესაც კვლავ მოიმატა ხორბლის ღირებულებამ მსოფლიოს ბაზრებზე, საქართველოში ინფლაცია თითქმის არ შეინიშნება და ის ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენს.**

**კახა მჭედლიძე,**
რადიო „თავისუფლება“

## ვითარება

# წყალი, როგორც „საჯილდაო ქვა“

**ცენტრალურ აზიაში წყალ-ენერგეტიკული პრობლემების მძიმე კვანძმა შეიძლება არასტაბილურობის ახალი კერის პროვოცირება გამოიწვიოს. წყალი, რომელიც წლიდან-წლობით სულ უფრო და უფრო დეფიციტური რესურსი ხდება, იქცა ოდესღაც მოძმე რესპუბლიკებთან დაკავშირებით ეგრეთ წოდებულ საჯილდაო ქვად.**

**განსაკუთრებით საგანგაშო ხდება მომწიფებული კონფლიქტი სტაბილურობის რკალზე, რომელიც უზბეკეთზე, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთზე გადის. სიტუაცია დაპირისპირების უმაღლეს გრადუსამდე დაიძაბა. ისე რომ, რუსი სამხედროებიც კი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ ლოკალური შეიარაღებული შეტაკებების ალბათობის გამო.**

კერძოდ, ამის შესახებ საუბრობს რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალი ვლადიმერ ჩირკინი. რუსეთს არ სჭირდება დაძაბულობის ახალი ზონა თავისი საზღვრების ფარგლებში, განსაკუთრებით ავღანეთიდან კოალიციის ძალების გამოყვანასთან დაკავშირებით, და ამიტომაც ამ საკითხს მოსკოვისთვის აქვს ნამდვილად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

და რაც დამახასიათებელია, ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის სამხედრო შეტაკების შესაძლებლობას არ გამორიცხავენ დასავლელი ანალიტიკოსებიც. საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის პრეზიდენტმა ლუიზა არბორმა, რომელმაც 2011 წლის დეკემბერში „Foreign Policy“-ში გამოაქვეყნა თავისი პროგნოზი, 2012 წლის 10 ომი“, ამ რეიტინგში მეექვსე ადგილზე ცენტრალური აზია დააყენა. ასეთივე აზრისაა ამერიკული ინტერნეტ-რესურსი „Eurasianet“.

**რა ხდება? ნუთუ საქმე ისე შორს წავიდა, რომ მშვიდობიანი დიალოგის იმედიც აღარ უნდა გვქონდეს? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, დასაწყისისთვის უნდა გავიგოთ დაპირისპირების არსი.**

ყველაფერი ორი ათეული წლის წინათ, სუვერენიტეტის აღლუმიდან დაიწყო. სსრ კავშირის დაშლასთან ერთად გაწყდა სამეურნეო და ეკონომიკური კავშირები, დაიშალა ცენტრალური აზიის ოდესღაც ერთიანი წყალ-ენერგეტიკული კომპლექსი. სადაც ამან მიგვიყვანა, ყველასთვის ცნობილია. ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, რომლებიც რეგიონის ორი მთავარი მდინარის – სირდარიისა და ამურდარიის სათავეებში მდებარეობენ, დაფიქრდნენ იმაზე, რომ არ იქნებოდა ურიგო, უფრო აქტიურად გამოეყენებინათ თავიანთი ჰიდროპოტენციალი. ყაზახეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი, თავის მხრივ, დაბეჯითებით მოითხოვენ როგორც სსრ კავშირის დროს აგებული, ისე დაგეგმილი ახალი ჰიდროელექტროსადგურების ირიგაციული ხასიათის უპირატესობით ექსპლუატაციას.

ვაი რომ, სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებანი ამ პრობლემაზე უკიდურესად არაპროდუქტიულად მიმდინარეობდა. შედეგად წყლის გაყოფის არსებული სქემა ჩაიშალა. ყირგიზეთმა, მაგალითად, ყაზახეთის ინტერესების საპირისპიროდ, დაიწყო წყლის დაგროვება სავეგეტაციო პერიოდში, რათა იგი დაბლობის ზონებისკენ გადაეგდო ზამთარში, როდესაც ჰიდროელექტროსადგური ენერგეტიკულ რეჟიმში მუშაობს.

ასეთმა პოლიტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ფერმერები იტანჯებოდნენ სასიცოცხლო ტენის უკმარისობის გამო, ზამთარში კი წყლის გაზრდილი ნაკადი იწვევდა მრავალრიცხოვან წყალდიდობებს. ამ სიტუაციაში ყველაზე მეტად იტანჯებოდა მდინარე სირდარიის ქვემოწელი ყაზახეთის სამხრეთში. ასტანა, არსებითად, ბიშკეკის ენერგეტიული პოლიტიკის მძევლად იქცა. იმისთვის, რომ დაეცვა თავისი ტერიტორია მრავალმილიარდიანი ზარალისაგან, რაც სტიქიურ უბედურებასთან იყო დაკავშირებული, ყაზახეთმა განახორციელა მასშტაბური პროექტი – ააგო კოქსარაის წყალვარდნილობის საწინააღმდეგო კონტრრეგულატორი.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ყაზახეთმა და ყირგიზეთმა, მრავალრიცხოვანი მოლაპარაკების გზით, მაინც შეძლეს მიეღოთ გადაწყვეტილება ბევრ სადავო საკითხზე. კერძოდ, 2011 წელს მიაღწიეს შეთანხმებას გაზის, წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ რესურსების ურთიერთგაცვლის ხელშეკრულების ფარგლებში.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ექსპერტების აზრით, ყაზახეთისა და ყირგიზეთის გამოცდილება შეიძლება გამოადგეს ცენტრალური აზიის სხვა სახელმწიფოებსაც.

ასტანისა და ბიშკეკის კონსტრუქციული დიალოგის მაგალითზე მოჩანს, რომ პოლიტიკური ნების არსებობის დროს კონსენსუსი ყოველთვის შეიძლება მოინახოს. მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად სხვა სურათს



ვადევნებთ თვალყურს უზბეკეთისა და ყაზახეთის ურთიერთობებში. სიტუაცია ჩიხში შევიდა.

აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც წლების განმავლობაში გროვდებოდა, გამოვლინდა უკომპრომისო დაპირისპირებაში, როდესაც ტაჯიკეთმა როგუნის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო.

ტაჯიკეთის ხელმძღვანელობა, რომელსაც არ აქვს ნავთობისა და გაზის მარაგები, ფსონს ჩადის ჰიდროენერგეტიკის ფორსირებულ განვითარებაზე, განზრახული აქვს, 2015 წლისთვის არა მხოლოდ დააღწიოს თავი ენერგოდამოკიდებულებას ტაშკენტის მხრიდან, არამედ დაიწყოს ელექტროენერგიის ექსპორტირება პაკისტანში, ინდოეთში.

უზბეკეთი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ როგუნის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის რეალიზაციის დაწყებით, ამურდარიის დონე ზაფხულში შემცირდება 18 პროცენტით და ზამთრის პერიოდში გაიზრდება 54 პროცენტით. მაშასადამე, გაზაფხულზე იქნება გვალვა, ზამთარში კი – წყალდიდობები.

უზბეკეთის სამთავრობო გაზეთი „პრავდა ვოსტოკა“ აღნიშნავს, რომ როგუნჰესის მშენებლობას თან ახლავს სერიოზული მასშტაბური ტექნოლოგიური, სოციალური, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური რისკები და საფრთხე. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მომდევნო ათი წლის განმავლობაში ამ მთიან მასივში უნდა ველოდოთ ძლიერ, გამანადგურებელ მიწისძვრებს, რასაც ადასტურებს გამოკვლევები, მათ შორის ტაჯიკი მეცნიერი სეისმოლოგების გამოკვლევებიც.

თუმცა ტაჯიკეთი გვარწმუნებს – ყველაფერი კარგად იქნებაო. ჰესი შენდება საბჭოთა პროექტის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სეისმურობას და გაუძლებს მიწისძვრას 10 ბალამდე, მაგრამ რომ ვერ გაუძლოს? ამ შემთხვევაში ცუნამი დაფარავს ქვემოწელს და მოხდება ნამდვილი აპოკალიფსი.

ერთი სიტყვით, გასაგებია როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მოტივები. გასაგებია ისიც, რომ ისინი ჯიუტობენ, თითოეული თავის თვალსაზრისს მიიჩნევს უტყუარად. ამასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩაღდა მკაცრი საინფორმაციო ომი. უფრო მეტიც, ლამის შეიარაღებული კონფლიქტი არ მოხდა. ტაჯიკეთ-უზბეკეთის დაპირისპირება მიმდინარე წლის გაზაფხულზე მივიდა ჯარების თავმოყრამდე ორივე მხრიდან საზღვარზე.

სისხლისღვრა, საბედნიეროდ, არ მოხდა, თუმცა მხარეები კვლავ აგრძელებენ ერთმანეთის გამოცდას სიმტკიცეში და ლოკალური კონფლიქტის რისკი შენარჩუნებულია. წყნარი დიპლომატიური ომი გადაიზარდა ტაშკენტის მკაცრ სანქციებში მოლაპარაკების არმსურველ მეზობელთან დაკავშირებით.

და დღეს გვაქვს ტაჯიკეთის არა მხოლოდ დანაღმული საზღვარი, არამედ სატრანსპორტო ბლოკადაც. ამ ქვეყნის სამხრეთისკენ მიმავალი რკინიგზა დანაღმულია: სრულიად ლიკვიდირებულია ზოლი ხაშადი – ამუზანგის მონაკვეთზე.

არის ენერგეტიკული ბლოკადის ელემენტებიც. აპრილში შეწყდა გაზის მიწოდება ტაჯიკეთში. ამავე დროს მთელს ქვეყანაში ქუხილის ხმასავით გაისმა უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის შავკატ მირზიაევის ცნობილი წერილი. მასში პრემიერმა ექვსი მტკიცე „არა“ განაცხადა თავისი ტაჯიკი კოლეგის მიმართვაზე. მათ შორის იყო წინადადება ცენტრალური აზიის ენერგეტიკული სისტემის გაერთიანების შესახებ.

თუ სიტუაციას დავხედავთ ზევიდან, ასე ვთქვათ, რეგიონალური მასშტაბით, სახეზე გვაქვს შემდეგი ტენდენციები. ტაჯიკეთის პერმანენტულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ შეიძლება მიგვიყვანოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციამდე არა მხოლოდ ამ რესპუბლიკაში, არამედ მთლიანად ცენტრალური აზიის მთელს რეგიონში.

ამ კონტექსტში კომპრომისის ძიება წყალ-ენერგეტიკულ პრობლემებზე ხდება ეროვნული უშიშროების საკითხი ცენტრალური აზიის ყველა ქვეყნისა და რუსეთისთვისაც.

ამ თვალსაზრისით უნდა დავუბრუნდეთ დიალოგს წყალ-ენერგეტიკული კონსორციუმის შექმნის თაობაზე. მეცნიერებმა ხომ გადაიანგარიშეს – ცენტრალურ აზიაში წყლის რესურსების მოუწესრიგებელ პრობლემებს ყოველწლიურად მოაქვს 1,7 მილიარდი ამერიკული დოლარის დანაკარგები. ეს კი საერთო დანაკარგებია.

ამიტომ საკომპენსაციო მექანიზმის შექმნა არის ეკონომიკურად შესაძლებელი და უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ერთი-მეორისგან იზოლაციის პოლიტიკა.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, ყაზახეთისა და ყირგიზეთის თანამშრომლობის მაგალითი ამ სცენარს ქმნის სავსებით რეალურს. უფრო მეტსაც ვიტყვით, ეს გამოცდილება ახალი არაა. ასევე იგებოდა უზბეკეთისა და ტაჯიკეთის ურთიერთობანი საბჭოთა პერიოდში. ზაფხულში ტაჯიკეთი ატარებდა წყალს ირიგაციისთვის უზბეკეთში ნურეკის წყალსაცავიდან, აგროვებდა მას ზამთრობით და ღებულობდა გამოუმუშავებელ, უკმარისი ოდენობის ელექტროენერგიას უზბეკეთის თბოელექტროსადგურებიდან.

**დღეს ამ მწვავე საკითხის გადასაწყვეტად, მიაჩნიათ მიმომხილველებს, აუცილებელია შეხვედრები უმაღლეს დონეზე ექსპერტების ჩართვით, რომლებიც გვიკარნახებდნენ პრობლემის მოგვარების ყველაზე მისაღებ გზებს. ის კი, რაც დღეს რეგიონში ხდება, ჩიხური სიტუაციაა, უფრო მეტიც, განვითარების სახიფათო გზაა.**

გიორგი ნემსიწვერიძე

## ინფორმაცია

### თანხის გადახდა წინასწარ მოუწევთ

**წინასაარჩევნო** რეკლამისთვის საეთერო დროის ან/და გაზეთის ფართობის შესყიდვისთვის პოლიტიკურ პარტიებს წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება დაევალებათ. შესაბამისი ბრძანება გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ 6 აგვისტოს გამოსცა, რომელიც ძალაში 12 აგვისტოდან შევა.



როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განმარტავენ, ახალი რეგულაციების შემოღება წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების მიზნით გადაწყდა.

### საპარტნიორო ფონდის კაპიტალში მოხდა

სს „საქართველოს რკინიგზის“ აქციების 100%-ის ინვესტირება საპარტნიორო ფონდის კაპიტალში მოხდა. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა შესაბამისი ბრძანებულება გამოსცა.

დადგენილება 6 აგვისტოთი თარიღდება და „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელია ყოფილი პრემიერი ნიკა გილაური.

საქართველოს რკინიგზა
GEORGIAN RAILWAY

### რა მოხდა №11 დაწესებულებაში?

**არასრულწლოვნების** პატიმრების მშობლებმა სასჯელაღსრულების №11 დაწესებულებაში 8 აგვისტოს მომხდარ ინციდენტზე დაწესებულებასთან შეიტყვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, დაწესებულებასთან რამდენიმე არასრულწლოვანი პატიმრის მშობელი იყო მისული. ისინი აცხადებენ, რომ ინციდენტის შესახებ არაფერი იცოდნენ და დაწესებულებაში მხოლოდ ამანათების შესაგზავნად მივიდნენ, მათ დაწესებულებასთან შეიტყვეს ინციდენტის შესახებ და ის, რომ არასრულწლოვან პატიმართა ნაწილი რუსთავის კოლონიაშია გადაყვანილი.

მშობლების განცხადებით, მათთვის ინციდენტის დეტალები უცნობია, თუმცა აცხადებენ, რომ არასრულწლოვანი პატიმრებისთვის აქ კარგი პირობები იყო შექმნილი. ამასთან, სასჯელაღსრულების დაწესებულების წარმომადგენლის თემურ რიჟამაძის თქმით, 8 აგვისტოს რამდენიმე



არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა დღის წესრიგი უხეშად დაარღვია, რამაც ინფრასტრუქტურისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ნაწილის დაზიანება გამოიწვია. რიჟამაძის თქმით, დისციპლინის უზრუნველყოფისა და შემდგომი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, მსჯავრდებულთა ნაწილი გადანაწილდა სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში.

რიჟამაძის ინფორმაციით, არც ერთ მსჯავრდებულს დაზიანება არ მიუღია, ხოლო ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ინტერპრესი

◉ მცირე მეწარმეობა

# ფინანსური მონობის გზით



**საავტომობილო საწვავი და საპოხი მასალები, თბილისში სამარშრუტო ტაქსებით მგზავრთა გადაზიდვა, ყოველდღიური მოხმარების სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებები, სათამაშო და ფარმაცევტული ბაზრები — აი, იმ დარგთა არასრული ჩამონათვალი, სადაც საქართველოში თავისუფალ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფუძემდებლური პრინციპის — თავისუფალი კონკურენციის —აბსოლუტური იგნორირებით, სრულიად დაუფარავად მონოპოლისტები მოქმედებენ. თავდაპირველად, სოციალისტური სისტემის კრახის შემდგომ პირველ წლებში, თითოეულ ზემოჩამოთვლილ ბაზარზე, ისევე, როგორც სხვაგან, მრავალი წვრილ-წვრილი კომპანია მოქმედებდა, რომელთა შორის ძალიან ბევრის უკან საეჭვო წარმომავლობის პირი იდგა. ამდენად, ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მათი ბაზრიდან გაქრობა — სამართალდამცველთა მოღვაწეობის შედეგად თუ კონკურენციის გამო — მხოლოდ დროის საკითხი იყო. მაგრამ უბედურება ისაა, რომ, როგორც ეს ხელისუფლებას ხშირად მოსდის, რომ იტყვიან, „ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლეს“ და თაღლითებს ბაზრის ბევრი პატიოსანი მოთამაშეც მიაყოლეს. თუმცა, როგორც შემდგომ მოვლენათა განვითარებამ დაგვანახა, ყოველივე არა მიზანდასახული, არაჯანსაღი მიდგომის წყალობით და კანონის უზენაესობით, არამედ გარკვეული კლანური, უწინარესად მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე მოხდა და, სამწუხაროდ, პროცესი ახლაც ხშირად ამ გზით მიდის.**

იმ დროს, როცა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში თითქოსდა თავისუფალი, კონკურენტუნარიანი საბაზრო ურთიერთობათა პრინციპი ბიზნესის წარმართვის ქვაკუთხედადაა აღიარებული, რეალური სურათი საწინააღმდეგო ტენდენციას მოწმობს, რაც ნეგატიურად, უწინარესად, მცირე და საშუალო მეწარმეობაზე აისახება. დაფარული თუ დაუფარავი კლანური დაპირისპირებები, რომელთა მსხვერპლი შიგადაშიგ მსხვილი კომპანიებიც კი ხდებიან, კი არის ხოლმე, მაგრამ, როგორც წესი, „წესების გარეშე თამაშის“ მსხვერპლი მცირე და საშუალო ბიზნესი და ამ კალიბრის მეწარმეებია ხოლმე.

იმის თაობაზე ლაპარაკი, რომ ქვეყანაში ბიზნესის წამოწყება ლამის მსოფლიოში ყველაზე იოლია, მიუხედავად ამ გარემოების დიდი მიმზიდველობისა, თავისთავად ბევრი ვერაფერი სიკეთეა იმ მარტივი მიზეზით, რომ შემდგომ ამ ბიზნესის წარმართვა ხშირად შეუძლებელი ხდება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მერე მისი დასრულება-ლიკვიდაცია საკმაოდ პრობლემური საქმეა იმის გამო, რომ — გაკოტრების შემთხვევაშიც კი! — მეტად სერიოზულ ფინანსურ ხარჯთანაა დაკავშირებული.

არადა, თვალის ერთი გადავლებით, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, რომელიც ფაქტობრივად, ყველაზე მეტ-ნაკლებად წარმატებულ ქვეყანაში საზოგადოების ხერხემლად აღიარებული საშუალო ფენის ძირითადი მკვებავი წყაროა (მისი წილი განვითარებულ ეკონომიკურ ქვეყნებში მთლიან ბრუნვაში 40-60 პროცენტის ფარგლებშია) და რომელიც ჩვენში ამდენი ხნის მანძილზე ვერა და ვერ მომაგრდა, ბევრი საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. მრავალმა როგორც ადგილობრივმა, ასევე უცხოურმა ფონდმა ჩვენში მცირე მეწარმეობის ხელშესაწყობად დიდძალი ფინანსური სახსრები გაიღო, მაგრამ მთელი ძალისხმევის მიუხედავად, მისი წილი ეროვნულ ეკონომიკაში წლიდან წლამდე მცირდება, რაც ამ კატეგორიის საწარმოთა რიცხვისა და, შესაბამისად, პროდუქციის კლებით გამოიხატება. ბაზრის გამოთავისუფლებულ სეგმენტს კი უმალ ან ადგილობრივი მსხვილი კომპანიების პროდუქცია, ანდა, სულაც, იმპორტული საქონელი იკავებს. ორივე შემთხვევაში საქმე ან ძველ მონოპოლისტებთან, ან ახლების ჩამოყალიბებასთან გვაქვს. ამ პროცესის ნეგატიური შედეგი უმუშევართა რიცხოვნობის ზრდა, თანაც პროდუქციის ხარისხის გაუარესების პირობებში ისედაც მახრჩობელა ფასების მატებაა. თუ რაოდენ კატასტროფულად მცირდება ეროვნულ ეკონომიკაში მცირე მეწარმეობის წილი, ამას რამდენიმე ციფრიც მოწმობს: არც თუ შორეულ წარსულში, კერძოდ, 2000 წელს, ეროვნულ ეკონომიკაში მას მთლიანი ბრუნვის 33 პროცენტი ჰქონდა, ათი წლის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი განახევრდა და 15 პროცენტს აღარ აღემატებოდა!

ცალკე თემაა, რომ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის (მათ შორის საერთაშორისო კორპორაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსი) მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, რომელთა მიზანი საქართველოში განხორციელებული პროექტების ფარგლებში **მცირე მეწარმეობის ხელისშემშლელ გარემოებათა დადგენა იყო, მთავარ ნეგატიურ მომენტად კანონმდებლობის გაუთავებელი ცვლილებები დაასახელეს.**

ვიდრე შარშანდელი იანვრიდან ქვეყანაში ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდებოდა, მასზე მუშაობა იმდენ ხანს მიმდინარეობდა, რომ მისი თანამედროვე რეალიებთან თუნდაც გარკვეული ცდომილებით მიახლოვება სავსებით შესაძლებელი იყო. თუმცა კი, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მეწარმეთა აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით სამი მეოთხედი) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ბოლო წლინახევრის მანძილზე საქართველოში ბიზნესგარემო საგრძნობლად გაუარესდა.** ისევე, როგორც უწინ, საგადასახადო კოდექსის გარკვეული ნაწილის ორაზროვნების, გარკვეულის კი „დრაკონული“ მიდგომის გარდა, ბიზნესგარემოს გაუარესების თავი და თავი მაინც ფინანსური წყაროების ნაკლებად მისაწვდომობაა — ბანკები ძველებური მონდომებით გასცემენ მცირე მოცულობის, მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებს, ხოლო საშუალო მეწარმეობისთვის ჰაერივით საჭირო მეტ-ნაკლებად სოლიდური კრედიტების გაცემაზე მაქსიმალურად ხელმომჭირნედ იქცევიან.

გარდა აღნიშნულისა, კაპიტალური ინვესტიციების სახსრების განმახორციელებელმა კომპანიებმა ფინანსური რესურსი ისევ საკუთარი გაუნაწილებელი მოგებისა და დანაზოგის ხარჯზე მოიძიეს. ბანკებიდან ფულადი სახსრების მოპოვება მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში კი ამჟამად ფინანსური მონობის პირდაპირი გზაა.

**საშუალო და, მით უმეტეს მცირე ბიზნესის არასახარბიელო მდგომარეობა სოციალურ ყოფაზე პირდაპირ რომ აისახება, ამის თაობაზე გამუდმებით ვლაპარაკობთ, მაგრამ ამდენი ხნის მანძილზე კეთილდღეობის „ურემი ისევ იმ ლაფშია“ ჩაფლული, რომელსაც სიღარიბე ჰქვია და რომელსაც ქვეყანამ, ამოდენა მოჩვენებითი აღმშენებლობის ფონზე, თავი ვერაფრით დააღწია.**

ოთარ ტურაბელიძე

◉ სარედაქციო ფოსტიდან

# მკურნალობის ღირებულების მიღება უნდა იყოს მთავარი თუ პაციენტის ჯანმრთელობა?

**თუმც დარწმუნებული ვარ, რომ ახალი მინისტრი ჭიაბერაშვილი უკვე საქმის კურსში იქნება ქვეყანაში სამედიცინო დარგის მდგომარეობის შესახებ, მაინც შევეცდები, რამდენიმე საკითხზე ჩვენი კრიტიკული შენიშვნა მივაწოდოთ.**

პირველი, რაც ჩვენს დიდ გულისყურს იწვევს, არის იმ ურთიერთობათა გაცნობა, რაც 25-სართულიანი სამინისტროს შენობაში მოთავსებულ აპარატსა და ქალაქებში მოქმედ კერძო სამედიცინო დაწესებულებებს (ძირითადად კლინიკებსძ შორის რომ არსებობს. ვფიქრობთ, სამინისტრო დღეს მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში მეთოდოლოგიის მაკოორდინებელი ფუნქცია აქვს და ის კერძო კლინიკებში მუშაობაში ვერ ჩაერევა. ასეთი ურთიერთობა კი (თუ ეს მართლაც ასეა და არ ვცდებითძ, საერთო საქმისათვის არ ვარგა, თუმცა მისი მოშლა შეუძლებელია, რადგან იგი ეფუძნება თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობებით განსაზღვრულ წესსა და სტრუქტურას. აქ გამოსავლის მონახვაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში პაციენტი იჩაგრება და მერე როგორ...

ნებისმიერ კლინიკაში შესვლისთანავე ხვდები ისეთ ამაზრზენ ატმოსფეროს, სადაც მთავარია მომსახურების ღირებულების მიღება, ანუ მიდის ბრძოლა ფულისთვის და არა ადამიანის ჯანმრთელობის ასამაღლებლად.

ახალგაზრდა, სუფთად გამოწყობილი და გარეგნობითაც სპეციალურად შერჩეული დამხმარე თანამშრომელთა ფუსფუსი, პაციენტის მიმართ ზრდილობიანი მიმართვები სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის, მაგრამ მალე რწმუნდები, რომ იგი ემსახურება საკმაოდ მაღალი შესატანი (ან უკვე შეტანილიძ თანხის გამართლებას.

კარგი იქნებოდა, საქმე ისე მოწყობილიყო, რომ მკურნალი ექიმი გათავისუფლებულიყო შემოსული თანხის რაოდენობაზე ფიქრისგან.

ერთ კლინიკაში შევდგი თუ არა ფეხი, იქვე ჯიხურიდან მშვენიერმა ქალბატონმა მიმიწვია და ვიზიტი 75 ლარად შემიფასა. ამ თანხაში არც სისხლის ანალიზის, არც სხვა რაიმე პროცედურის საფასური შესული არ იყო. მათზე ცალ-ცალკე მომიხდა გადახდა. საერთო ჯამში 150 ლარი გადავიხადე და კლინიკიდან გამოვედი რამდენიმე, ისედაც პოპულარული წამლის რეცეპტით (მათი ღირებულების საკითხი, ეს ცალკე თემაა და სჯობს, აქ მხოლოდ გაკვრით შევეხოთ, რათა საბოლოოდ არ გავიფუჭოთ ხასიათიძ. აქვე დავძენ, რომ მათ ყლაპვას არავითარი შედეგი არ მოუცია.

ასეთი რომ მარტო ამ კლინიკაში ხდებოდეს, ვინ ამოიღებდა ხმას. მაგრამ, ყველგან რომ ასეა?! იქნებ ამ საქმეს იმით მაინც ვუშველოთ, რომ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება მკურნალობის შედეგს დავუკავშიროთ? მაშინ პაციენტის პრეტენზია მინიმუმამდე შემცირდება (სულ ამოწურვას კი ვერ შევპირდებით, რადგან მცირედი გაუგებრობანი მაინც არის მოსალოდნელიძ.

ამ წერილის მიზანი ერთია: მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ზრუნვის გაუმჯობესება, რის იმედსაც, ახლად დანიშნულ მინისტრს ვუკავშირებ.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი.**

◉ ინფორმაცია

## ჟურნალისტმა ქეთი ქაშაკაშვილმა სამსახური დატოვა

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა მათე კირვალიძემ განუცხადა, ქაშაკაშვილმა აღნიშნული გადაწყვეტილება აგვისტოს ომის თემაზე ჩართვის დროს დაშვებული შეცდომის გამო თავად მიიღო.**

**„ქრონიკის“ ჟურნალისტი ქეთი ქაშაკაშვილი თვითნებურად პირდაპირ ეთერში დაშვებულ შეცდომას ძალიან წუხს და საკუთარი გადაწყვეტილებით „ქრონიკა“ დატოვა. რაც მოხდა ჟურნალისტის მიერ პირდაპირ ეთერში, ჩართვისას დაშვებული შეცდომაა და არა — საინფორმაციო სამსახურის და ტელევიზიის პოზიცია. შემთხვევა მკვეთრად განსხვავდება იმ ფაქტისგან, როდესაც მსგავსი შინაარსის ტექსტი სხვა ტელევიზიაში წამყვანმა პირდაპირ ეთერში, სტუდიიდან წაიკითხა, — აღნიშნა მათე კირვალიძემ. ქეთი ქაშაკაშვილმა 7 აგვისტოს, 11:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გაკეთებულ ჩართვაში განაცხადა, რომ „რუსეთი საომარ მოქმედებებში 8 აგვისტოს ჩაერთო და მან თავისი საჯარისო ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა ოსეთის ტერიტორიაზე ლეგალურად შეიყვანა“.**

ინტერპრესი

## განცხადება

**2012 წლის 2 ოქტომბერს,** 12 საათზე, ქ.თბილისში, ჯიქიას ქ.№8ა შპს „საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის „საქგზამეცნიერების“ ოფისში, გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ16-კმ21 მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

**დაგეგმილი საქმიანობის მიზანია საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ16-კმ21 მონაკვეთის მოდერნიზაცია და ექსპლუატაცია.**

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ მისამართზე:

• შპს „საქგზამეცნიერების“ ცენტრალურ ოფისში – ქ.თბილისი, ჯიქიას ქ.№8ა;

• შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა, ტელ: 5 (95) 58 52 55; 5 (99) 16 47 05.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2012 წლის 26 სექტემბრის 18 საათამდე.

შპს „საქგზამეცნიერების“ ადმინისტრაცია

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | | | | | | | |
| [illegible] | | | | | | | |
| [illegible] | | | | | | | |
| [illegible] | | | | | | | |

ყოფა

# უპატრონო „ეკლესიას" ბაქტერია-დაავადებები შეესივნენ

**ხორცპროდუქტების ბაზარზე სრული ოლიგოპოლიაა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" ბაზარი სპეციალურად გამოიკვლია და აქამდე ნაცნობი თუ უცნობი დეტალები აღმოაჩინა. საქართველოში მოქმედი კომპანიები ერთმანეთში შეთანხმებულად საქმიანობენ, რაც იდენტურ ფასებს და ბაზრის დანაწილების შესაძლებლობას ქმნის.**

2011 წლიდან სარეალიზაციოდ განკუთვნილი ცხოველი და ფრინველი მხოლოდ სპეციალურ სასაკლაოზე იკვლება. სასაკლაოების ნაწილმა, რომლებიც ბაზარს მანამდე ხორცპროდუქტებით უზრუნველყოფდნენ, საქმიანობა შეაჩერა. სამაგიეროდ, ბაზარზე ჩამოყალიბდა ორი დიდი სასაკლაო - შპს „იბერ მით ჯორჯია" და შპს „აგროლაინ ლიმიტედი", რომელთა შორის კარტელური გარიგებების ნიშნები შეიმჩნევა.

**„2005 წელს საქართველოში კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა გაუქმდა, შესაბამისად, კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ქმედითი ზედამხედველობა აღარ ხორციელდებოდა, რამაც ბაზარზე უკვე დამკვიდრებული სუბიექტების ანტიკონკურენტული ქმედებების და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკები შექმნა.**

**ამდენად, შეიძლება არსებობდეს როგორც რძის პროდუქტების, ისე ხორცპროდუქტების ბაზარზე მოქმედ კომპანიებს შორის შეთანხმებული მოქმედება, რომელიც ფასების პარალელიზმით და ბაზრის დაყოფის შესაძლებლობით გამოიხატება. აღნიშნულის არსებობისთვის ხელსაყრელია ასევე დღეისათვის ამ ბაზრებზე ჩამოყალიბებული ოლიგოპოლიური სტრუქტურა",**

### ხორცის ბაზარი მონოპოლისტების ხელშეწყობით თანდათან ნადგურდება

– ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" პროექტის მენეჯერი ერეკლე ურუშაძე.

კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოში რძის პროდუქტებითა და ხორცპროდუქტებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი დაბალია და დანაკლისი იმპორტით ივსება. მაგალითად, რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2006 წლის შემდეგ მზარდი დინამიკით გამოირჩევა. მაგალითად, თუ ეს მაჩვენებელი 2006 წელს 82%-ს შეადგენდა, 2010 წლისთვის მან 93%-ს მიაღწია. მიუხედავად ამისა, საქართველოში რძის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ნატურალური რძის ოდენობა ვერ აკმაყოფილებს ქართულ ბაზარზე არსებულ მოთხოვნას. დანაკლისი კი რძის ფხვნილით და მცენარეული ცხიმით ივსება. ასევე, ბაზარზე ვხვდებით იმპორტირებულ რძის პროდუქტებსაც.

რაც შეეხება, ხორცით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტს, ის ბოლო წლების განმავლობაში მცირდება. მაგალითად, ხორცის შემთხვევაში თუ ეს კოეფიციენტი 2006 წელს 73% იყო, 2010 წლისთვის 48%-მდე შემცირდა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი 2006 წელს 81%-ით აკმაყოფილებდა ქართულ ბაზარს, 2010 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 77%-მდე შემცირდა. ადგილობრივ ღორის ხორცს თუ 2006 წელს ბაზარზე 79% ეკავა, 2010 წლისთვის ის 49%-მდე შემცირდა. რაც შეეხება ფრინველის ხორცს, 2006 წელს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 43%-ით განისაზღვრებოდა, 2010 წელს კი – 22%-ით. ამ შემთხვევაშიც, საქართველოში წარმოებული ხორცპროდუქტების ოდენობა ვერ აკმაყოფილებს ქართულ ბაზარზე არსებულ მოთხოვნას და დანაკლისი იმპორტით ივსება.

კვლევაში ასევე საუბარია რძის პროდუქტებისა და ხორცპროდუქტების ხარისხზეც. მაგალითად, რძის პროდუქტების ბაზარზე არსებულ პრობლემებს შორის პროდუქციის ფალსიფიკაცია და ეტიკეტირების წესების დარღვევა, ხოლო ხორცპროდუქტების ბაზარზე კი ძირითადად პროდუქციის უვნებლობის პრობლემა გამოიყოფა.

**„ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სადისტრიბუციო ქსელში არსებული ხორცპროდუქტები მავნე ბაქტერიებით იყო დაბინძურებული და ირღვეოდა პროდუქციის უვნებლობის მოთხოვნები",** – ამბობს ნათია კუტივაძე.

2006 წელს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი შეჩერდა. აღარ არსებობდა სტაბილური სახელმწიფო ზედამხედველობა სურსათის უვნებლობაზე, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. ნათია კუტივაძის თქმით, დაავადებების სტატისტიკა, რომელთა გადაცემის მექანიზმში შესაძლებელია სურსათი და სასმელი წყალი იყოს ჩართული, არასახარბიელო ტენდენციებით გამოირჩევა.

მაგალითად, ბაქტერიული საკვებისმიერი მოშხამვებით თუ 2000 წელს 280 ადამიანი დაავადდა, 2011 წლამდე მისი რაოდენობა 2603-მდე გაიზარდა. ინფექციური წარმოშობის დიარეა 2000 წელს 6075 ადამიანში დაფიქსირდა, 2011 წელს კი ამ ციფრმა 19 576 მიაღწია.

გიორგი ბექაური,
For.ge

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული არჩევნები: ბრძოლა ქვეყნისათვის

**საქართველომ სულ ახლახან გამოაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდება. მიიჩნევენ, რომ ეს არჩევნები 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნის დემოკრატიისთვის ყველაზე დიდი გამოცდა იქნება.**

გასული წლის ბოლომდე ისე ჩანდა, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველი პარტია ადვილად მოიგებდა არჩევნებს. მოსაზრებლად პროგნოზირებადია ვითარება, რომელიც მისასალმებელია ქვეყნისთვის, სადაც არჩევნებმა შეიძლება კრიზისი და არასტაბილურობა გამოიწვიოს.

მაგრამ ახლა საქართველოს პოლიტიკაში არაპროგნოზირებადი სიტუაცია დაბრუნდა. ქვეყნის ყველაზე მდიდარი კაცი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, რომლის ქონება 6.4 მილიარდი დოლარია, რაც საქართველოს საწარმოო შესაძლებლობების ნახევარს უდრის, პირობა დადო, რომ მმართველ პარტიას ხელისუფლებიდან გააძევებს. და ბრძოლამ საზარელი სახე მიიღო.

## „სამართლიანობის ფასადი“

**ივანიშვილი ამბობს, რომ მთავრობამ ის მიზანში ამოიღო და ცდილობს, გათელოს პოლიტიკური ოპოზიცია.**

ის ამბობს, რომ 200 მილიონ დოლარზე მეტით დააჯარიმეს პარტიის დაფინანსების კანონის დარღვევის ბრალდებით. მას შემდეგ, რაც ის ოპოზიციაში გადავიდა, მოქალაქეობა ჩამოართვეს, თითქოს იმიტომ, რომ მას სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ჰქონდა, ამბობს ის. მისი მომხრეები აცხადებენ, რომ მათ ხელისუფლება სდევნის.

ივანიშვილის თქმით, ეს არის პრეზიდენტ სააკაშვილის სტრატეგია – გაანადგუროს ნებისმიერი პოლიტიკური ოპონენტი.

**„მან მოახერხა და დაარწმუნა აშშ და ევროპა, რომ ის რეალურ დემოკრატიას აშენებს. მაგრამ არაფერი ამგვარი ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში არ ხდება.**

**ყველაზე დიდი უსამართლობა, რაც საქართველოში ამჟამად ხდება, ეს ფასადური სამართალია,“** – განაცხადა ივანიშვილმა.

მაგრამ მთავრობა ამტკიცებს, რომ ივანიშვილი უკანონოდ იყენებს თავის უზარმაზარ ქონებას, რათა პოლიტიკური ლანდშაფტი ასიმეტრიულად შეცვალოს.

მას ბრალს სდებენ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მკაცრი კანონის დარღვევაში. ამ კანონით განსაზღვრულია დაფინანსების ზედა ზღვარი, რომელიც კერძო პირებმა და კომპანიებმა შეიძლება გაიღონ.

ივანიშვილი ეჭვმიტანილია იმაში, რომ კანონის გვერდის ავლით, მესამე მხარეს თანხების ტრანსფერისათვის იყენებს, ან იღებს უკანონო კორპორაციულ შეწირულობებს უფასო საოფისე ფართის, ან ტრანსპორტის სახით.




ხოლო მისი საქველმოქმედო შეწირულობები, რომლებიც წელიწადში დაახლოებით 100 მილიონი დოლარია, სხვა არაფერია, თუ არა ამომრჩეველთა მოსყიდვა, განაცხადა მმართველი პარტიის წარმომადგენელმა დავით დარჩიაშვილმა.

**„პიროვნებები პოლიტიკაში ან პერსონალური ლოიალობა აქ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პოლიტიკური პროგრამები,“** – ამბობს ის. **„ამიტომ, როდესაც ვინმე აცხადებს, რომ გადავუხდი ყველას, ვინც მხარს მიჭერს, ეს სარისკო რამ არის ქართული დემოკრატიისთვის“.**

## ქველმოქმედება

**საქართველოს უმდიდრესი კაცი, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტი ცდილობს განსხვავებული აზრის განადგურებას.**

ამ ორ მხარეს შორის კონკრეტული პოლიტიკის კონტექსტში ძალიან დიდი განსხვავება არ არის.

ორივემ განაცხადა თავისი ამბიციური გეგმის შესახებ – დაძლიონ სიღარიბის მაღალი დონე საქართველოში, ძირითადად იმით, რომ პრობლემის გადასაწყვეტად ფულს დახარჯავენ.

მაგრამ ბრძოლამ ძალაუფლებისთვის საქართველოს საზოგადოების შუაგულში ბზარი გააჩინა.

იმის გამო, რომ მას ქველმოქმედის და ფილანტროპის რეპუტაცია აქვს, ივანიშვილი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს ღარიბ მოსახლეობას შორის, რომელსაც დღევანდელ ნეო-ლიბერალურ ქართულ ეკონომიკაში ბრძოლა უწევს.

მისი დაფინანსებულია საჯარო შენობები თბილისში, მათ შორის საკათედრო ტაძარი და უნივერსიტეტი. ის 2003 წლის რევოლუციის შემდეგ, პირველ წლებში პარლამენტარებს ხელფასს უხდიდა და ყიდულობდა უნიფორმას პოლიციისთვის.

როდესაც ბაზარში გამყიდველებს ელაპარაკები, ადამიანებს, რომლებიც დღეში რამდენიმე დოლარს ძლივს შოულობენ, ივანიშვილის სახელის ხსენებაზე, ისინი ცერა თითს მაღლა წევენ, თუმცა იმ კონკრეტული მიზეზის მოძიება, თუ რატომ უყვართ, ძნელია.

**„კარგი კაცია“, – ასეთია ჩვეული პასუხი. ბაზარში ძნელად გადაეყრები ვინმეს, ვინც მთავრობას უჭერს მხარს.**

ივანიშვილს ბევრი მოხუცი ქართველიც უჭერს მხარს, ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ახალგაზრდა, საზრიანმა ელიტამ ისინი უკან მოიტოვა.

ხოლო ქალაქელი ინტელექტუალები პრეზიდენტს ავტორიტარიზმში ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ ის აკონტროლებს სასამართლოებს და მედიას.

მათ მიაჩნიათ, რომ ამ მგზნებარედ პროდასავლურმა მთავრობამ ძირი გამოუთხარა საქართველოს არტისტულ და ინტელექტუალურ ტრადიციებს უფრო ზერელე ამერიკული საზოგადოების სასარგებლოდ.

მაგრამ ბევრ სხვა ქართველს, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს, ომით გახლეჩილი, კრიმინალით მოცული 1990-იანი წლები, მიაჩნია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდმა მოიტანა უპრეცედენტო სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პერიოდი.

და მისი მთავრობა ღია და ტოლერანტულია რელიგიური, სექსუალური და ეთნიკური უმცირესობებისადმი – რომელთანაც შედარებით, ივანიშვილის ზოგიერთი კოლეგა შემაშფოთებლად ნაციონალისტია.

## ხშირი მუშტი-კრივი

**როდესაც 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ის ხელისუფლებაში მოვიდა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საბჭოთა ეპოქის კორუმპირებული ელიტა ჩამოიშორა.**

მან აღასრულა ბევრი ის დაპირება, რომელიც ხმაურიან მასებს პარლამენტის შენობის კიბეებიდან მისცა – ის მკაცრი იყო კრიმინალებთან, ცხოვრება უხიფათო გახადა და დააბრუნა ელექტროენერგია.

ბევრ ამომრჩეველს ეშინია, რომ სააკაშვილის მმართველი პარტიის გარეშე, ქვეყანა ქაოსში დაბრუნდება.

ერთ-ერთი მათგანი ნინოა, მოხუცი ქალი, რომელიც პენსიას მაღაზიის სარდაფში თაფლის პატარა ქილებისა და შინაური ღვინის გაყიდვით ამოგებულ ფულს ამატებს.

ბევრი სხვა ადამიანივით, მას ეშინია პერიოდის, როდესაც საქართველო არშემდგარი ქვეყანა იყო.

ის ეჭვით არის განწყობილი ოპოზიციის ლიდერისადმი, რომელმაც ქონება 1990-იან წლებში, რუსეთში იშოვა და კრემლთან კავშირებშია დადანაშაულებული.

**„არა მგონია (ივანიშვილს) ქვეყნის მართვისთვის აუცილებელი ჭკუა და გამოცდილება ჰქონდეს – ის თავის გარემოცვაში ჭკვიან ხალხზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ ისინი საკუთარი ინტერესებისთვის იბძოლებენ და ქვეყანა გაიხლიჩება“.**

ოქტომბრის არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაძაბულობა იზრდება – მუშტი-კრივი ორივე მხარის მხარდამჭერებს შორის ხშირია.

ამ ბოლოდროინდელ საარჩევნო შეხვედრაზე, სულ ცოტა ათამდე აქტივისტი და ჟურნალისტი საავადმყოფოში გადაიყვანეს მას შემდეგ, რაც ჩხუბი ატყდა. დასავლელი დამკვირვებლები იმედოვნებენ, რომ არჩევნები შედარებით მშვიდობიანად ჩაივლის.

მაგრამ ძალიან ბევრია დადებული სასწორზე. პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველი პარტია ლიდერობს ყველა დამოუკიდებელი წყაროებით დაფინანსებული და პატივსაცემი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში.

თუმცა, ივანიშვილმა უკვე განაცხადა, რომ არ ეთანხმება ამ მონაცემებს და უარი თქვა იმ დოკუმენტის ხელმოწერაზე, რომელიც არჩევნების შედეგების მშვიდობიანი აღიარების პირობას წარმოადგენს. ამან გააჩინა შიში იმისა, რომ ოპოზიცია, ალბათ, არ მიიღებს შედეგებს, რაც არეულობამდე მივა.

მაგრამ ეს არჩევნები ასევე უდიდესი გამოწვევაა პრეზიდენტ სააკაშვილის პარტიისათვის.

დასავლეთში არჩევნები აღიქმება როგორც ლაკმუსის ტესტი, რომელმაც უნდა გვაჩვენოს რამდენად შორს წავიდა საქართველო ნატოსა და ევროკავშირში საბოლოოდ გაწევრებისკენ და რამდენად შეუძლია მთავრობას დემოკრატიული რეფორმების გატარების დაპირების შესრულება.

როდესაც ოპოზიცია არ არსებობს, მაშინ ადვილია სამართლიანი და თავისუფალი კონკურენციის დემოკრატიული ფასეულობების აღიარება.

მაგრამ ასეთი მდიდარი ოპონენტის პირისპირ, ოპონენტისა, რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ემხრობა, ეს დემოკრატიული იდეალები ახლა გადიან გამოცდას.

**დემიან მაკგინესი**

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



### „ნასამ“ და „ბოინგმა“ აჩვენეს სამკუთხა „მომავლის თვითმფრინავი“

**ხომალდის შემქმნელთა გაანგარიშებით, თვითმფრინავის მოულოდნელ ფორმას რომ შეეჩვიო, სულ რაღაც რამდენიმე ათეული წელია საჭირო. სიახლე, რომელიც სამხედრო შიკრიკ თვითმფრინავს მოგვაგონებს, ეკონომიურია და მას შედარებით დაბალი ხმა აქვს, ამტკიცებენ ისინი. ჟურნალისტები ხუმრობენ: ასეთი თვიმფრინავი ძნელად რომ მოეწონოს მათ ვისაც ფანჯარასთან ჯდომა უყვარს.**

* * *

### პროკურატურა ბრალს სდებს ტიმოშენკოს საგამოძიებო იზოლატორის თანამშრომლის ცემაში



**გამოძიების მონაცემებით, 9 წლის წინათ ექსპრემიერი სახალხო დეპუტატების ჯგუფთან ერთად შეიჭრა კიევის საგამოძიებო იზოლატორში. როგორც პროკურატურის წარმომადგენელმა გვაცნობა, ტიმოშენკო „არა მხოლოდ წინააღმდეგობას უწევდა დაწესებულების ნორმალურ მუშაობას, ემუქრებოდა კიდეც საგამოძიებო იზოლატორის თანამშრომლებს, ერთ-ერთ მათგანს კი, ოფიცერს, პირადად მიაყენა სხეულის დაზიანება“.**

* * *

### აფრიკაში შეიძლება არსებობდა ადამიანის მსგავსი სამი სხვადასხვაგვარი ნამარხი



**როგორც სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები აღნიშნავენ, „ამგვარი გამოკვლევა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომელიც ეწინააღმდეგება გავრცელებულ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა სახაზო ევოლუციას: მაიმუნი – პრიმატი – თანამედროვე ადამიანი“.**

* * *

### ნილ არმსტრონგმა, რომელმაც პირველმა დადგა ფეხი მთვარეზე, გულის ოპერაცია გადაიტანა

**ოპერაციამდე ორი დღით ადრე, 5 აგვისტოს, ლეგენდარულმა ასტრონავტმა აღნიშნა თავისი 82 წლისთავი. მეორე დღეს იგი მიიყვანეს საავადმყოფოში კარდიოლოგიურ გამოკვლევაზე. შედეგები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ნილის მეუღლის სიტყვებით, ის ახლა თავს კარგად გრძნობს, ექიმები არ ელოდებიან გართულებებს.**



მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ არ ვაპირებ ბევრი ყურადღების დათმობას იმ საკითხისათვის, თუ ვინ და როგორ დააპატიმრა ლ.პ. ბერია. ლიტერატურაში ამის თაობაზე კაი ათეული ვერსიის მოძიება შეიძლება – საფუძვლიანისაც, საეჭვოსიც, სულაც ავანტიურულისაც, სერგო ბერიას ყველაზე ექსტრემალური „ვერსიის“ ჩათვლით, რომლის მიხედვით მამამისი თითქოს იმ ცალკე კეთილმოწყობილი სახლის იერიშის დროს დაიღუპა, რომელშიც ბერიას ოჯახი ცხოვრობდა.

სარწმუნო კი „ლპ“-ის დაკავების ისტორიაში გახლავთ თვით დაპატიმრების ფაქტი, აგრეთე ის უეჭველი გარემოება, რომ დაკავება მოხდა 1953 წლის 26 ივნისს.

სერგო ლავრენტიევიჩის „ვერსიის“ შემდეგ, ექსტრემიზმის მიხედვით მეორე ადგილზე უნდა ვაღიაროთ ვერსია, რომლის თანახმად კრემლში, მარშალ ჟუკოვის მეთაურობით უმაღლესი სამხედროების ჯგუფის მიერ (როგორც ჩანს, იქ გენერალ მოსკალენკოს ყოფნითძ დაპატიმრებული ბერია დახვრიტეს მოსკოვის სამხედრო ოლქის მიწისქვეშა ბუნკერში. იური მუხინი თავის წიგნებში ამტკიცებს, რომ ყველაფერი დაახლოებით ასეც მოხდა, ხოლო ბუნკერიდან „ლპ“-ის წერილები ყალბია.

აბა, რა გითხრათ... დაპატიმრების წინ კრემლში და არა შინ ბერიას ყოფნის ფაქტი სარწმუნოდაა დოკუმენტირებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ უკანასკნელი განკარგულებით, რომელსაც ის აწერს ხელს, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ეს გახლავთ დოკუმენტი ახალი „ატომური“ ობიექტის მშენებლობის შესახებ და „ლპ“-ს იმისი ხელმოწერა შეეძლო მხოლოდ კრემლში და მხოლოდ დაკავებამდე; მაშასადამე, სიცოცხლეში უკანასკნელ თათბირზე გაემგზავრა თავისი კრემლის კაბინეტიდან.

ოღონდ სად გაემართა? იმაზე, თუ სად დააპატიმრეს ბერია, აგრეთვე სხვადასხვა რამის წაკითხვა შეიძლება სხვადასხვა მოგონებაში; თუმცა დოკუმენტების ანალიზს მივყავართ დასკვნამდე: დაკავება მოხდა სკკპ-ის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომის მსვლელობისას.

ამრიგად, „ლპ“ არ დაღუპულა თავისი საშინაო რეზიდენციის იერიშის დროს... მაინც, როგორ ვითარდებოდა ამბები ამის წინ და შემდეგ? ბერიას დახვრეტას დაპატიმრებისთანავე ვერავინ ვერ იკისრებდა... გულში წარმოვიდგინოთ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ყველაფერი...

აი ხრუშჩოვი – მარტო ის ან ცკ-ის პრეზიდიუმის წევრთაგან ვინმესთან ერთად – მიიწვევს თავისთან ჟუკოვს, მოსკალენკოს და აცნობებს, რომ „არის აზრი“ ამა და ამ საბაბებით „ლპ“-ის დაკავებისა და რომ პრეზიდიუმი ასეთ საჩოთირო საქმეს ანდობს მათ...

ბერიას დაპატიმრება ხელმძღვანელობის ზეპირი ბრძანებით ჟუკოვს, მოსკალენკოს, ბატიცკის და ნებისმიერ სხვას კიდევ შეეძლოთ, ოღონდ დახვრეტა გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, სასამართლოს განაჩენის, თუნდაც პირდაპირი წერილობით ბრძანების გარეშე?

არა, კანონის ამგვარ უმძიმეს დარღვევაზე წასვლას არავინ არ ისურვებდა. აქ საჭირო იყო რაიმე მატერიალური გარანტია ხრუშჩოვისა და ეგებ პრეზიდიუმის რამდენიმე წევრის მხრიდანაც. განა ნიკიტა სერგეევიჩი შეძლებდა წერილობითი გარანტიის მიცემას? ვერა, რასაკვირველია! ამიტომ ბერია დააპატიმრეს და დაკავების შემდეგ მხოლოდ განაცალკევეს, ერთბაშად კი არ დაუხვრეტიათ...

დავუბრუნდეთ 26 ივნისის დღის ბოლოს. სუხომლინოვი წერს, რომ „ლპ“ კრემლიდან გამოიყვანეს 17 საათსა და 30 წუთზე, რაც სიმართლეს ჰგავს, როგორც მე მგონია; ალბათ, ისიც სწორია, რომ ჯერ გარნიზონის ჰაუპტვახტაში მიიყვანეს, 27 ივნისს კი მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში გადაიყვანეს.

იმავე შაბათის საღამოს დიდ თეატრში გადიოდა იური შაპორინის განახლებული ოპერის „დეკაბრისტების“ პრემიერა, რომელსაც უნდა დასწრებოდა ქვეყნის მთელი უმაღლესი ხელმძღვანელობა ბერიას ჩათვლით... არადა, 27 ივნისს „ლპ“ იყო უკვე არა მაყურებელი, არამედ მონაწილე საზიზღარი ცხოვრებისეული „სპექტაკლისა“ და სსრ კავშირის პროკურატურის გამომძიებელი მასზე ტუსაღის ანკეტას ავსებდა. სუხომლინოვს მოჰყავს ანკეტის ფაქსიმილეც და იმისი წიგნის გვერდები, ბერიას საქმესთან დაკავშირებული ზოგიერთი დოკუმენტის ფაქსიმილური ასლით, ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ რამედ მეჩვენება.

იგივე ავტორი ბერიაზე დაწერილ წიგნში მისდამი ლოიალური როდია და შეეძლო შემდეგი რამის დაწერა: „ყველა, ვინც „ლპ“ იმ დღეებში ნახა (იგულისხმება სტალინის სიკვდილის შემდგომი პერიოდი. – ს.კ.ძ, აღნიშნავს, რომ ის აგზნებული და ენერგიული ჩანდა... ცკ-ის პრეზიდიუმის წევრებთან ურთიერთობაშიც „შენობაზე“ გადავიდა. თანამშრომელთა მოგონებებით კი, მათი თანდასწრებით სატელეფონო საუბრების დროს ბერია განზრახ დასცინოდა და ამცირებდა ცკ-ის პრეზიდიუმის წევრებს“..

ვაი, რომ ამნაირი, რბილად რომ ვთქვათ, მიკერძოებული მიდგომა „ლპ“-სადმი ტიპურია ბევრისთვის, ვინც მასზე წერს. ერთი მიბრძანეთ, ცუდი რაა იმაში, რომ კაცი მოქმედია, თუკი ამასთან ერთად საზრიანიცაა? „შენობით“ კი ერთმანეთს პრეზიდიუმის ყველა წევრი ელაპარაკებოდა... იმასაც ტყუიან, თითქოს ბერია უდიერად ეკიდებოდა კოლეგებს.

სუხომლინოვი ასეც წერს ლავრენტი პავლოვიჩზე: „ის ხრუშჩოვისავით უნდა მიყუჩებულიყო, დროზე ადრე არ უნდა გაეხსნა თავისი ზრახვები, მაგრამ ერთობ დიდხანს მიდიოდა ძალაუფლებისკენ და უკანასკნელი ნახტომის წინ სიფრთხილე დაკარგა“..

ეს როგორ გავიგოთ? უმაღლესი ხელისუფლება დიდი ხანია, სტალინს ეპყრა ხელთ და სანამ ის ჯანმრთელი იყო, ძალაუფლებას ვერავინ, მათ რიცხვში ბერიაც, ვერ შეეცილებოდა ვერც ცხადად და ვერც ფარულად, გინდაც საკუთარ ფიქრებში; რაც შეეხება „ლპ“-სგან თავისი პოტენციალის შეფასებას, იგი ხომ არავისგან არ მალავდა, იოსიფ ვისარიონოვიჩის ჩათვლით, რომ საკუთარ თავს მიიჩნევს ბელადის ერთადერთ ღირსეულ მემკვიდრედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.



## სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

### რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




აი, ნიკიტა სერგეევიჩის ნატურა და არსი კი სუხომლინოვმა ზუსტად განსაზღვრა! ხრუშჩოვი დიდი ხანია, ჩასაფრდა და ახლა, როცა ლომი მკვდარი იყო, ტურა წამოხტა თავის მსხვერპლში შხამიანი კბილების ჩასარჭობად... უკვე 1989-ში მისმა სიძემ აჯუბეიმ გააკეთა ასეთი, უნებურად სიმამრის მამხილებელი განცხადება: „ბერიას დამარცხებით ხრუშჩოვი ერთბაშად გაიჭრა წინ... გარეგნულადაც კი ძალიან შეიცვალა, უფრო მტკიცე, დინამიკური გახდა... იმისი დაცვაც კი სხვანაირად, უფრო თავხედურად იქცეოდა...

სხვათა შორის, ეს ის ნიკიტა ხრუშჩოვიცაა, ვინც სტალინი ომის დაწყების შემდეგ „უახლოეს“ აგარაკზე სალოთაოდ „გააგზავნა“. ამის მერე მისი რა უნდა გვჯეროდეს...

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ 1953 წლის ზაფხულისთვის სკკპ-ის ცკ-ის თითქმის მთელი პრეზიდიუმი კოლექტიურ უფერულობად გადაიქცა, რომელსაც არ შესწევდა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, დროის გამოწვევებთან გამკლავების უნარი. პატიოსნად თუ ვიტყვი, არ შემიძლია იმის მტკიცება, თითქოს ამგვარ გამოწვევებს ბერიას გარეშე, მთელი თავისი გენიალურობის მიუხედავად, უკვე თვით სტალინიც გაუმკლავდებოდა, წლების მერვე ათეულში გადასული...

კონსტანტინ სიმონოვი ანტიბერიული პლენუმის მონაწილე გახლდათ; როგორც ლიტერატორმა, რაღაცრაღაცა სწორად მონიშნა და მოგვიანებით აი, რა დაწერა: „იმაზე, თუ როგორ დაიჭირეს ბერია, პლენუმზე გვიყვებოდა ხრუშჩოვი. სიტყვა „დაიჭირეს“ ყველაზე ზუსტად შეესაბამება მისი მონაყოლის ხასიათს, მის ტემპერამენტსა და იმ დიდ სიამოვნებას, როგორითაც ყველაფერ ამაზე მოგვითხრობდა... იმისი მონაყოლიდან გამოდიოდა, რომ სწორედ მან, ნიკიტამ, შეასრულა მთავარი როლი ამ დიდი მხეცის დაჭერასა და განიარაღებაში. ჩემთვის სავსებით ნათელი შეიქნა, როცა ვუსმენდი, რომ ხრუშჩოვი გახდა დაჭერის ინიციატორი იმიტომ, რომ უფრო გამჭრიახი, ნიჭიერი, ენერგიული და გაბედული აღმოჩნდა, ვიდრე დანარჩენები. მეორეს მხრივ კი, ამას ხელი შეუწყო ბერიასგან ხრუშჩოვის შეუფასებლობამ, იმისი თვისებების, იმისი ღრმად ბუნებრივი, წმინდა გლეხური ეშმაკურობისა, იმისი სალი აზრისა, იმისი ხასიათის ძალისაც; პირიქით, ლავრენტი პავლოვიჩმა ის მიიჩნია მრგვალსიფათიან, შექანებულ სულელად, რომელსაც ის, ინტრიგის ოსტატი, სულ ადვილად გააცურებს. ნიკიტა სერგეევიჩი თავის სიტყვაში „ნიშნისმოგებით“ ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა ტუტუცად თვლიდა მას ბერია...“

სიმონოვმა სიცოცხლეში ცოტა ნიჭიერი სტრიქონი (განსაკუთრებით, გალექსილი სტრიქონიძ როდი დაწერა, მაგრამ ის არ უპასუხებდა მაღალ ადამიანურ სტანდარტებს, პოსტსტალინური ხელმძღვანელი ელიტის საერთო უფერულობის ზემოთ არ აწეულა. ამან თავი იჩინა მისგან ხრუშჩოვის გადაჭარბებულ შეფასებაში.

არა, ლავრენტი პავლოვიჩი არ ყოფილა შეთქმული, არც ინტრიგანი ყოფილა. ნიკიტა სერგეევიჩის მსხვერპლად იმად იქცა, რომ ბუნებით, საბოლოო ჯამში, იდეალისტი გახლდათ, თუმცა პრაქტიკული. ხრუშჩოვი კი სულით ლაქია იყო, ისიც არ ესმოდა, თუ როგორ შეიძლება სისაძაგლის ჩაუდენლობა, თუკი ეს ხელსაყრელია. იგი იყო თავხედი, თავი რომ დიდი ვინმე ეგონა, მაგრამ ათწლეულობით იძულებით მალავდა ასეთ წარმოდგენას საკუთარ არსებაზე. ის იყო მართლაც გვარიანი ეშმაკობის მქონე, ზნეობრივი თუ პოლიტიკური მიმიკრიის იდეალურად შემძლე არამზადა. იგი, დიახაც, ენერგიული გახლდათ, იცოდა ხალხთან ლაპარაკი, იყო შემსრულებელი და ემარჯვებოდა საქმისადმი ერთგულების გამოხატვა – ყოველივე ამის ხარჯზე იდგა კიდევაც ფეხზე.

ეგ კია, პოსტსტალინური სიტუაცია რომ კონსტრუქციულად განვითარებულიყო, ბერია ჩაუდგებოდა ქვეყანას სათავეში. ხრუშჩოვი კი დიდხანს ვერ გაძლებდა ცკ-ის ერთ-ერთი მდივნის პოზიციებზეც კი; ამიტომაც ჩაიფიქრა მან ბერიას გადასაყენებლად ცკ-ის პრეზიდიუმის ნაწილის კოლექტიური შეთქმულების გარდა, საკუთარი მონოშეთქმულება მის სალიკვიდაციოდ; და ხრუშჩოვის ამ შეთქმულებაში ყველა დანარჩენი აღმოჩნდა მხოლოდ უნებისყოფო ხელისშემწყობი დაპატიმრების ეტაპზე და მოქმედი ხელისშემწყობი ცკ-ის პლენუმზე...

საგულისყურო ისიცაა, რომ მან ჯერ ბერიას წინააღმდეგ მოაწყო შეთქმულება, მერე კი მალენკოვის წინააღმდეგაც... მოდით, ვიმსჯელოთ: პრეზიდიუმის წევრთაგან რეალურად გავლენიანი ვინ იყო, გარდა ხრუშჩოვისა? მარტო მალენკოვი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და კიდევ – ბერია.

მოლოტოვზე რა ითქმის – საგარეო საქმეთა სამინისტრო არაა ძალოვანი უწყება, თანაც განა შეიძლებოდა მოლოტოვზე ლაპარაკი, როგორც დამოუკიდებელ ერთეულზე? ბულგანინი? თუმცა კი იყო სამხედრო მინისტრი, მაგრამ რეალურად სერიოზული გავლენა ჯარებში არა ჰქონია. კაგანოვიჩი? ვოროშილოვი? მიქოიანი? არა, არა და არა, თუ ყოველ მათგანს ცალ-ცალკე მივიღებთ მხედველობაში.

თანამოაზრეებსა თუ თანამებრძოლებზე ისეთი პირადი მორალური და ინტელექტუალური გავლენა, როგორიც ლენინსა და სტალინს ჰქონდათ, პოსტსტალინურ ცკ-ის პრეზიდიუმში არავის არ გააჩნდა, გარდა ბერიასი. ხრუშჩოვს ჰქონდა პრეზიდიუმის ნებისმიერ წევრთან ბლოკში შესვლის შესაძლებლობა გარდა, კვლავ და კვლავ, ერთისა – ბერიასი; ეს იმიტომ, რომ ყველა დანარჩენი, ისევე როგორც თვით ხრუშჩოვი, თანდათან გადადიოდა პარტოკრატების პარტიაში, ბერია კი სტალინის პარტიაში რჩებოდა.

სტალინის პარტიაში ინტრიგები ვერ უზრუნველყოფდა მაღალ პოსტებს – ბელადი ინტრიგებს ვერ იტანდა. პარტოკრატ ხრუშჩოვის ჩამოყალიბებად პარტიაში ინტრიგები ამ პარტიის უმაღლეს ბონზთა „შინაპარტიული“ ცხოვრების განუყოფელი თვისება ხდებოდა. ის, ვინც ითვისებდა ინტრიგების ხელოვნებას, გადარჩებოდა – როგორც თვით ხრუშჩოვი, როგორც მიქოიანი; ვინც ვერა – ამოვარდებოდა „წრიდან“, როგორც ამოვარდნენ „ანტიპარტიული ჯგუფის“ წევრები მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი...

ყველაფერთან ერთად, ნიკიტა სერგეევიჩმა მარჯვედ ითამაშა კოლეგების შიშზე „ლპ“-ის მკაცრი ხელისუფლების შესაძლებლობის წინაშე. წარჩინებული მოხელის შიში თავისი სავარძლის დაკარგვისა ხომ საშინელი რამაა, რამაც შეიძლება საშინელი რამეები მოიყოლოს. სტალინის გარდაცვალების შემდეგ კი ხელმძღვანელის სავარძელი არავისთვის არ იმუქრებოდა განსასჯელის სკამად გადაქცევით და ამნაირი ადგილის დაკარგვა არცვის არ სურდა იმისაგან დამოუკიდებლად, შეეძლო თუ არა სავარძლის პატრონს მასზე ობიექტურად პრეტენზიის ქონა.

თარგმნა
**თამაზ ეზანოიძე**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-151

კალათბურთი

# წავიდა, ჰეეე...



**იყო დრო, ტალინის „კალევის“ სტუმრობა საქართველოს დედაქალაქში კალათბურთის მოყვარულთ საინტერესო სანახაობას ჰპირდებოდა.**

მართალია, ჩვენი არ იყოს, ბალტიისპირელებიც ტანმაღალ მოთამაშეთა ქრონიკულ დეფიციტს განიცდიდნენ, მაგრამ მათ ტაქტიკურ არსენალს სხვა ღირსებები ამშვენებდა, რომელთაგანაც განსაკუთრებულად მრისხანე იარაღს შორეული ზუსტი ტყორცნები წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ერთმანეთს უკვე როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეშევრდომები, ისე ვხვდებით.

ევრო – 2013-ის საკვალიფიკაციო ტურნირის წინ ძველ ნაცნობთა კიდევ ერთ მატჩს თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. პირდაპირ უნდა ითქვას, როგორც გუნდური თამაშით, ისე ცალკეულ სოლისტთა ინდივიდუალური ოსტატობით ჩვენ გაცილებით წინ ვართ წასულნი მეტოქესთან შედარებით.

**საქართველო – ესტონეთი 84:71**

ოთხთა საერთაშორისო ტურნირის სასტარტო ბრძოლის რეცენზირებისას გულისტკივილით აღვნიშნეთ, რომ „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთი ნატურალიზებული ლეგიონერის ჯეიკობ პულენის შემატებით ბევრი ვერაფერი შეგვიძენია.



ანალოგიური შთაბეჭდილება დატოვა მისმა თანამემამულემ კორი ფიშერმა, რომელსაც ესტონელებთან მიეცა თავის გამორჩენის შანსი. ხომ გსმენიათ – არც თევზი, არც ხორციო – ისეა ამერიკელთა საქმე. რაც შეეხება ძირითად ბირთვს, იგი ისევ დამრტყმელ ძალად რჩება: შენგელია – 20 ქულა, 9 მოხსნა, სანიკიძე – 19 ქულა, 13 მოხსნა. 10-ქულიან ზღვარს გადააბიჯეს აგრეთვე შერმადინმა, მარკოიშვილმა და ფაჩულიამ.

ამ გამარჯვებით „ჯვაროსნებმა“ დიდი ნაბიჯი გადადგეს მთავარი პრიზისკენ, რადგან იმავე დღეს ბელარუსმა მოულოდნელად იოლად სძლია უკრაინას – 75:65.

**საქართველო – 2, ბელარუსი, უკრაინა – 1-1, ესტონეთი – 0 მოგება.**

* * *

**დრამატულად განვითარდა მოვლენები ლონდონის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის მეოთხედფინალურ შეხვედრებში. გაუწყებთ მათ შედეგებს: რუსეთი – ლიტვა 83:74, ესპანეთი – საფრანგეთი 66:59, არგენტინა – ბრაზილია 82:77, აშშ – ავსტრალია 119:86.**

**ასე რომ, დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ: ესპანეთი – რუსეთი, აშშ – არგენტინა.**

გიორგი შოთაძე

ლონდონი 2012

# ოლიმპიადა - ფინიშის სწორზე

**დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში დასასრულს უახლოვდება 30-ე საიუბილეო ოლიმპიური თამაშები. კიდევ სამი დღე და მსოფლიო სპორტის დიდი ფორუმი საზეიმოდ დაიხურება. ლონდონის ოლიმპიადის საგზური, მოგეხსენებათ, 36-მა ქართველმა დაიმსახურა. მათგან 28-მ უკვე მოსინჯა ძალები. ძიუდოისტმა ლაშა შავდათუაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთაგან ევროპის ჩემპიონს რევაზ ლაშხს ვერცხლის, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს მანუჩარ ცხადაიას კი ბრინჯაოს მედალი ერგოთ.** სხვადასხვა სინჯის ამ სამი ჯილდოთი საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ნორვეგიასთან ერთად ოცდამეთხუთმეტე-ოცდამეთექვსმეტე ადგილებს ინაწილებს. გუშინდლამდე მედლები სულ 76 ქვეყანას ჰქონდა.



როგორც ოთხი წლის წინათ პეკინში, ამჟამადაც არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლას 77 მედლით ჩინეთი მეწინავეობს. მართალია, ამერიკელებმა 4 მედლით მეტი მოიპოვეს, მაგრამ აზიელები ოკეანისგაღმელებს ოქროების რაოდენობით უსწრებენ. პირველი ათეული კი ასე გამოიყურებოდა: ჩინეთი – 77 (36 ოქრო, 22 ვერცხლი, 19 ბრინჯაო), აშშ – 81 (34, 22, 25), დიდი ბრიტანეთი – 48 (22, 13, 13), სამხრეთ კორეა – 25 (12, 7, 6), რუსეთი – 52 (11, 19, 22), საფრანგეთი – 28 (8, 9, 11), გერმანია – 32 (7, 15, 10), იტალია – 17 (7, 6, 4), უნგრეთი – 11 (6, 2, 3), ყაზახეთი – 8 (6, 0, 2).

**დღეს, ხვალ და ზეგ ოლიმპიურ ხალიჩაზე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში საქართველოს შვიდი ფალავანი მოსინჯავს ძალებს, 11 აგვისტოს კი 50 კილომეტრზე სწრაფ სიარულში მაჩეი მასიევიჩი იასპარეზებს.**

გივი გაგუა

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**გაიმართა ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**



„ფეიენოორდი“ – კიევის „დინამო“ 0:1 (1:2), „დებრეცენი“ – „ბატე“ 0:2 (1:1), „პანათინაიკოსი“ – „მოზერუელი“ 3:0 (2:0), „ნეფთჩი“ – „ჰაპოელ შმონა“ 2:2 (0:4), „ბაზელი“ – „მიოლდე“ 1:1 (1:0), ზაგრების „დინამო“ – „შერიფი“ 4:0 (1:0), „პარტიზანი“ – აელ 0:1 (0:1), „ეკრანასი“ – „ანდერლეხტი“ 0:6 (0:5), „ბრიუგე“ – „კოპენჰაგენი“ 2:3, (0:0), „დიუდელანჟი“ – „მარიბორი“ 0:1 (1:4), ჰიკი – „სელტიკი“ 0:2 (1:2), „ლიბერეცი“ – „კლუჟი“ 1:2 (0:1), „ვასლუი“ – „ფენერბახჩე“ 1:4, (1:1) „ჰელსინგბორგი“ – „შლიონსკი“ 3:1 (3:0).

ვიტალი ჯაფარიძე

ჭადრაკი

# რუბიკონზე შეისვენეს

**ათენში 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ. დღეს მოასპარეზენი მე-8 ტურის პარტიებს გაითამაშებენ. გოგონებში შვიდი ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით ირინა ბულმაგა (რუმინეთი), ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი), დეიზი კორი (პერუ) და ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი) ლიდერობენ. ქართველმა მოჭადრაკემ, 18-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონმა მერი არაბიძემ განვლილ შვიდ ტურში სამი შეხვედრა მოიგო, ოთხი ყაიმით დაამთავრა და 5 ქულას მოუყარა თავი. ჩვენებურის გარდა, 5 ქულა კიდევ 6 მოჭადრაკეს აქვს. ნანი უნაფქოშვილმა კი მხოლოდ 2,5 ქულის მოგროვება შეძლო. დღეს არაბიძე ჩინელ ვან იუეს შეხვდება, უნაფქოშვილი კი ნორვეგიელ ელის ფორსს დაუპირისპირდება.**



ვაჟებშიც ორი მონაწილე გვყავს – შალვა ნადირაშვილი და დიმიტრი კვარაცხელია. შვიდი ტურის შემდეგ ნადირაშვილის აქტივში 3,5, ხოლო კვარაცხელიასი – 2,5 ქულაა. აქ შვიდი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე 6 ქულით ალექსანდრ იპატოვი (თურქეთი) იმყოფება. მას ნახევარ-ნახევარი ქულით 9 მოჭადრაკე ჩამორჩება.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი ტური დარჩა.

ლექსო ცინცაძე

# პრაღაში — ევროპის პირველობაზე



**ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა 15 აგვისტოდან 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში აკაკი იაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს 19 წარმომადგენელი იასპარეზებს.** ესენი არიან: საბა ლომსაძე, ნიკოლოზ კაჭარავა, სალომე ბეიტრიშვილი, დიანა ლომაია (8-წლიანები), ანტონ ნადირაძე, ლუკა ოზოლაძე, დიმიტრი ჯიბუტი, თამარ ესაძე, ანასტასია სიდამონიძე (10-წლიანები), კოკა ბუკია, ლუკა გოგია, ნატა ჯიბუტი (12-წლიანები), გიორგი სიბაშვილი, ირაკლი ბერაძე, ანა შამათავა, თეა გოგიშვილი (16-წლიანები) და ნატო იმნაძე (18-წლიანები). ისინი ტურნირზე გამოვლენ ერთიანი ფორმით, რომელიც მოჭადრაკეებს გუშინ დაურიგეს!

ლაშა დიდია

**სურათზე: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე ნატო იმნაძესთან, ირაკლი ბერაძესთან, თეა გოგიშვილთან და გიორგი სიბაშვილთან ერთად.**

ვაჟა დანელიას ფოტო.

# ფეხი არ მოუცვლიათ

**ფიფამ და „კოკა კოლამ“ მორიგი ერთობლივი საფეხბურთო რეიტინგი გამოაქვეყნეს, რომლის მიხედვით საქართველოს ნაკრები, როგორც ერთი თვის წინათ, 97-ე ადგილზეა.** ჩვენებურთა მეტოქეთაგან ესპანეთი ისევ პირველია, საფრანგეთი – მე-14, ფინეთი – 72-ე, ბელარუსი – 76-ე. რეიტინგით პირველი ათეული ასეთია: 1. ესპანეთი, 2. გერმანია, 3. ინგლისი, 4, ურუგვაი, 5. პორტუგალია, 6. იტალია, 7. არგენტინა, 8. ჰოლანდია, 9. ხორვატეთი, 10. დანია.

ჩოგბურთი

# წყვილებშიც წარუმატებლად



**მონრეალში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2.168,400 დოლარი). უკვე გაუწყეთ, რომ ერთეულთა თანრიგში 22 წლის ანა ტატიშვილი სტარტზევე დამარცხდა კსენია პერვაკთან (ყაზახეთი).** ამ უკანასკნელს მე-2 წრეში ჩეხმა პეტრა კვიტოვამ მოუგო – 4:6, 7:6, 6:0. ტატიშვილმა წყვილებში სლოვენიელ ანდრეა კლეპაჩთან ერთად მოსინჯა ძალები, თუმცა აქაც წარუმატებლად – პირველივე წრეში ტაივანელი ჩიაიონგ ჩუანისა და ჩინელი შუაი ჟანის დუეტთან წააგო სამ სეტში და შეჯიბრებას დაემშვიდობა.

სოციუმი

# შემწეობების გაცემა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი არ არისო!..

**ნაციონალები და მათი ლიდერი ცხარე ცრემლებით ტირიან უმუშევართა ბედზე და გულში მჯილის ცემით გვპირდებიან (მხოლოდ არჩევნების წინ), რომ სიღარიბესა და უმუშევრობას აღმოფხვრიან. ამის დასტურად მოჰყავთ ნაცმოძრაობის პროექტი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა „დასაქმების სამინისტრო“. მაგრამ სპეციალისტებს ყოველივე დროებით, წინასაარჩევნო პიარად მიაჩნიათ და თვლიან, რომ ახალი სამინისტროსათვის თანხების გამოყოფა ბიუჯეტის ფულის წყალში ყრაა.**

## იძულებით „დამსაქმებლები“

**დასაქმების სამინისტროს დროულად უნდა ეჩვენებინა შედეგი. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, მეწველ ძროხებად ქცეულ დაშინებულ მცირე ბიზნესსა და მეწარმეებს მიადგნენ. ინდმეწარმეებს აიძულებენ, სამუშაოდ მიიღონ დაუსაქმებელნი.**

როგორც „თავისუფალ ასოციაცათა კავშირში“ აცხადებენ, გამოკვლევებით ცხადი ხდება, რომ მეწარმეებისთვის იძულებით თავს მოხვეულ დაუსაქმებელთა უმეტესობას ხელმძღვანელობა მკაცრად ეპყრობა. რამდენიმე წუთით დაგვიანებასა და სამსახურიდან ადრე წასვლისათვის სჯიან, ძირითადად ხელფასებიდან თანხებს აჭრიან. ამ კატეგორიის ხალხისთვის გაიგივებულია არასაპატიო და საპატიო გაცდენები. ახლადდასაქმებულებს, ძველი თანამშრომლებისგან განსხვავებით, არ უნაზღაურებენ სამუშაო საათების გადამეტებით ნამუშევარს, ასევე ნამუშევარს დასვენების დღეებში (ალბათ, შემდგომში სადღესასწაულო დღეებშიც.). ხშირად უფროსობა ახლადდასაქმებულებს, თანხების დაზოგვის მიზნით ცივ, ნესტიან, ბნელ შენობებში ამუშავებს. პრობლემაა ახალმოსულთა ანაზღაურების საკითხში. მათ, ძირითად დასაქმებულებთან შედარებით, მიზერულ თანხებს უხდიან. დამსაქმებელთან ოდნავი პრეტენზიის შემთხვევაში, ადმინისტრაციას პასუხი მზად აქვს – არ მოგწონს? წადი, შეუცვლელი არავინაა!

იძულებით თავს მოხვეულ დასაქმებულებს ხელი-



სუფლების შიშით თავიდანვე არ აიძულებენ წასვლას. მაგრამ ისეთი პირობები აქვთ შექმნილი, რომ მალე თვითონ დაწერენ განცხადებას წასვლაზე, რადგან ისინი საკანონმდებლო დონეზე არიან დაუცველნი.

კანონმდებლობა იმდენად მიახლოებულია ბატონყმურ ეპოქასთან, რომ ნაცების ხელდასხმულმა პროფკავშირების თავჯდომარემ პეტრიაშვილმა სახალხოდ დახია „მშრომელთა“ დამკაბალებელი საქართველოს შრომის კოდექსი. თუმცა, ამას იქით პეტრიაშვილის აქტივობა არ წასულა. ეს „დახევაც“ პიარაქცია ყოფილა. როგორც აქციაზე გაირკვა, ეს დღე ყოფილა მსოფლიო პროფკავშირების მიერ გამოცხადებული – „თანადგომის დღე“. პეტრიაშვილმაც პროფკავშირთა მსოფლიო თანამეგობრობას შეახსენა, რომ ქართველი პროფკავშირები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან.

ნაცები დაუსაქმებელთა „კეთილდღეობაზე“ არასამთავრობოების შეკითხვებს, თუ რა სახის დახმარებებია გათვალისწინებული მათთვის, ვისთვისაც ვერ მოხერხდება სამუშაო ადგილების მოძებნა, ხელისუფლების წარმომადგენლები შეგნებულად უვლიან გვერდს.

თუმცა, მათი დამოკიდებულება კარგად წარმოჩნდა მაშინ, როდესაც „თავისუფალ ასოციაციათა კავშირმა“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება შეიტანა, რათა მიეცათ მისთვის, უფლება ჩაეტარებინა რეფერენდუმი უმუშევართათვის შემწეობის გაცემის აუცილებლობის თაობაზე.

ვარდოსნებით დაკომპლექტებულმა ცესკო-მ განცხადების შემტანთ რეფერენდუმის ჩატარების უფლებაზე უარი უთხრა – „სარეფერენდუმო საკითხი (უმუშევრობის შემწეობის გაცემაძ“ „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი არ არისო(?!ძ“.

მსგავსი დახმარებები გაიცემა თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში. უმუშევართათვის თანხები გაიცემოდა ჩვენთანაც. მაგრამ ვარდ-ეკლიანებმა ეს „შევარდნაძის გადმონაშთად“ ჩათვალეს და შეჭირვებულ ხალხს დახმარებები შეუწყვიტეს.

## უცხოელებს ასაქმებენ, ადგილობრივები კი...

**ხელისუფლებას მხოლოდ არჩევნების წინ მოაგონდება თავისი მოქალაქეების დასაქმება. ამისთვის დასაქმების სამინისტროც კი შექმნა 6-მილიონიანი ბიუჯეტით. თუმცა, საიდან დაფინანსდება ახალი სამინიტრო, უცნობია. ახალგამომცხვარი უწყებისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან თანხები გათვალისწინებული არ არის.**

როგორც უმუშევართა კავშირში აცხადებენ, ქვეყანაში დაუსაქმებლობის ფონზე სხვადასხვა მშენებლობებსა და საწარმოებში დიდი რაოდენობით უცხოეთიდან ჩამოყვანილი ადამიანი მუშაობს.

„თბილისის იუსტიციის სახლს“ ჩინური კომპანია „ხუან ჩუან ლიმიტედ კომპანი“ აშენებს. მისი დირექტორია ხუა იუ. მშენებლობაზე 150 ჩინელია დასაქმებული. ერთ ამდენს კიდევ ელოდებიან. ჩინელებს ყოფილი რესტორნის „მერცხლის“ სარდაფში სძინავთ, ორსართულიან ნარების ტიპის საწოლებზე. არასამთავრობოები ამტკიცებენ, რომ ჩინელები პატიმრები არიან. მათ დამსაქმებელს მიაჩნია, რომ მისი თანამემამულეები სასჯელსაც აქ მოიხდიან და სახლში წასაღებად ცოტაოდენ ფულსაც იშოვნიან. ჩინელთა დღიური ანაზღაურება 70 ლარია, მაშინ, იქ დასაქმებული როდესაც 50 საქართველოს მოქალაქეს მხოლოდ 30 ლარს უხდიან დღეში. არასამთავრობოებმა რეესტრში ვერ მოიპოვეს ინფორმაცია ამ მშენებლობის შესახებ. შეუძლებელია იმის გაგებაც, თუ რა გზით მოიპოვა ჩინურმა კომპანიამ მშენებლობის უფლება.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის ტენდერი კომპანია „ინჟმშენმა“ მოიგო. მან სამუშაოების შესასრულებლად ჩამოიყვანა „ჩინეთის რკინიგზის 23-ე მუდმივმოქმედი ფილიალი... ჩინელებმა თავიანთი მუშახელი ჩამოიყვანეს. მშენებლობაზე მხოლოდ 17 ქართველი (მუშაღძ მუშაობს. არაკვალიფიციური ჩინური მუშების გამო, მშენებლობის პერიოდში გვირაბი ორჯერ ჩამოინგრა, – აცხადებენ უმუშევართა კავშირში.

ჩინელები ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს მონურ პირობებში ამუშავებენ. მათთან არა აქვთ გაფორმებული არანაირი კონტრაქტი. ირღვევა სანიტარიული, 8-საათიანი სამუშაო დღის, დასვენების უსაფრთხოების ნორმები. ჩინელი მუშის ყოველდღიური ხელფასი 80 ლარია, ქართველისა – 23;

ქუთაისში, ავადსახსენებელი პარლამენტის მშენებლობაზე, ძირითადად ესპანელები მუშაობდნენ და მუშაობენ. იქ ქართველებიც იყვნენ, მაგრამ ბევრად ნაკლები და მცირე ანაზღაურებით.

უცხოელების სიჭარბე შეინიშნება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც. იქ ძირითადად ინდოელები მუშაობენ. საქართველოს მოქალაქეები კი უმეტესად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან.

**ზაზა ბილიხოძე**



**კერძო თუ საჯარო სტრუქტურების ხელმძღვანელები თანამშრომლებს უხელფასო შვებულებებში იძულებით უშვებენ. ეს მეთოდი განსაკუთრებით „პოპულარული“ ხდება ზაფხულში, როდესაც ბიზნესაქტივობა და კომპანიები ცდილობენ, თავი აარიდონ ზედმეტ ხარჯებს. სხვა საკითხია საჯარო სამსახური და იქ მომუშავე ადამიანები. წესით და რიგით სეზონურობა ასეთ უწყებებს არ უნდა შეეხოს, მაგრამ საქმეში ერევა ე.წ. რეორგანიზაცია.**

ამას წინათ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაითხოვეს მეცხოველეობის ინსტიტუტის თანამშრომლები და უთხრეს, რომ რამდენიმე დღით უხელფასო შვებულებაში მოუწევდათ ყოფნა.

უფრო ადრე ამ ხერხს კერძო კომპანიებმაც მიმართეს. თანამშრომლები უხელფასო შვებულებაში ჯერ კიდევ მარტში გაუშვეს „აირზენამ“ და მეტალურგიულმა ქარხნებმა იმერეთსა და რუსთავში. ყველა შემთხვევაში თანამშრომლებს განუმარტეს, რომ კომპანიას აქვს ფინანსური სიძნელეები და გადაწყვეტილება ამიტომ მიიღეს.

> უხელფასო შვებულება – დასაქმებულთა სეზონური თავის ტკივილი

**„რამდენიმე დღეა, ბენდუქიძის ბრძანებით, უხელფასო შვებულება გაგვიფორმეს და სამსახურში არ დავდივართ. მიზეზი არავის აუხსნია, საკუთარი ხელით დაგვაწერინეს განცხადება და ახლა შედეგს ველოდებით. არ გამოვრიცხავთ, გაგვაუქმონ ან რომელიმე სტრუქტურასთან გაგვაერთიანონ. ჯერჯერობით არავინ გვეუბნება, მაგრამ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სამსახურში არ დაგვაბრუნებენ“,** – ამბობს მეცხოველეობის ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომელი.

პრობლემა ისაა, რომ უხელფასო შვებულებაში იძულებით მყოფ ან სამსახურიდან დათხოვნილ ადამიანებს სასამართლოში ჩივილის სურვილი არ უჩნდებათ. მათი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ უკმაყოფილების გამოხატვას და ჩივილს აზრი არ აქვს, რადგან დამქირავებლის უფლებებს კანონმდებლობა იცავს.

**„თანამშრომლებს უხელფასო შვებულებაში კომპანიები სისტემატურად უშვებენ. ბოლო რამდენიმე წელია, ეს ხდება მუდმივად და წელსაც იგივე განმეორდა, თუმცა სასამართლოს არავინ მიმართავს. ხალხს აქვს შიში, რომ ამით სამსახურს საერთოდ დაკარგავენ და თითქოს სამუდამოდ კარგავენ თანამდებობაზე აღდგენის შანსსაც. საზოგადოება დაშინებულია და ნდობა სამუდამოდ აქვს დაკარგული სასამართლო სტრუქტურების მიმართაც“,** – აცხადებენ პროფკავშირებში.

საქართველოს მეტალურგიულ და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ხელმძღვანელის თამაზ დოლაბერიძის ინფორმაციით, ქუთაისში მეტალურგიული ქარხნის თანამშრომლებს უხელფასო შვებულებაში სისტემატურად უშვებენ.

**„ბოლო რამდენიმე წელია, ეს ხდება მუდმივად და წელსაც იგივე განმეორდა. ქარხნის მუშებს ახლახან ვესაუბრე და მათ აქვთ გადაწყვეტილი, უკმაყოფილება კიდევ ერთხელ გამოხატონ, ამჟამად წერილობით რეჟიმში. პრობლემები ქარხანაში მუდმივადაა, ქუთაისის მთავრობისა და ცენტრალური ხელისუფლების აქტიურობით ჩაახშვეს პროტესტი და პრობლემები მოუგვარებელი დატოვეს. ყველაფერი ძველებურადაა, დასაქმებულთა საკეთილდღეოდ არც ერთი პრობლემა არ გადაჭრილა“,** – აცხადებს დოლაბერიძე.

მისივე ინფორმაციით, ჯართის უქონლობის გამო წლის პირველ კვარტალში ქუთაისის მეტალურგიულ ქარხანაში ყოველთვიურად 130 ადამიანი უხელფასო შვებულებაში იმყოფებოდა.

ლეიბორისტულ პარტიაში დაქირავებულთა უუფლებო მდგომარეობას ღიად აკრიტიკებენ. პარტიის პოლიტიკური მდივნის გიორგი გუგავას განცხადებით, მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვამ იკლო და ადამიანებს სასამართლო უწყების მიმართ ნდობა საბოლოოდ აქვთ დაკარგული.

**„როგორც კი რომელიმე კომპანიაში ფინანსური პრობლემა ჩნდება, ხალხს უშვებენ სამსახურებიდან და ამ პროცესს რეორგანიზაციის სახელით ახორციელებენ. უფლებრივი თვალსაზრისით, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შორის საშინელი დისბალანსია. ასე ხდება ყველგან, კერძო დაწესებულებებშიც და საჯარო უწყებებშიც. ცალკე პრობლემაა ისიც, რომ სამსახურიდან დათხოვნილები არ მიმართავენ სასამართლოს, რადგან არა აქვთ მოტივაცია. შედეგი ყველასთვის წინასწარაა ცნობილი და დამატებით ხარჯებს ერიდებიან. ურჩევნიათ, გაჩუმდნენ, ვიდრე დაიქირავონ ადვოკატი და სასამართლოს ხარჯი დაფარონ“,** – აცხადებს გიორგი გუგავა.

**ეკა ბაქრაძე**

ინფორმაცია

## ხანძარი საბერძნეთში

**საბერძნეთის ჩრდილოეთით, ტყის მასივებში გაჩენილი ხანძარი ათონის მთას მიუახლოვდა. ამის შესახებ „ასოშიეიტედ პრესი“ იუწყება.**

**ხანძრის მოახლოების გამო, ხელისუფლებამ ათონის მთის მისადგომებთან მდებარე ქალაქ ურანოპოლისში მცხოვრები მოხუცების ევაკუაცია განახორციელა, ხოლო ათონის მთაზე მიმავალი მომლოცველები, რომლებიც ურანოპოლისში იმყოფებოდნენ, ზღვის სანაპიროზე განათავსეს, სანამ ხანძრის ლოკალიზება მოხდება. 6 ადამიანი სხვადასხვა ხარისხის დამწვრობით სამედიცინო კლინიკაში გადაიყვანეს.**

**უკანასკნელ წლებში ყველაზე დიდი ხანძარი საბერძნეთში 2007 წელს, პელეპონესის ნახევარკუნძულზე იყო და 77 ადამიანი იმსხვერპლა.**

ინტერპრესნიუსი

**და პუსკა რუსიშვილი, შვილები ზაზა, ზურა ბეჟიტაშვილები, რძალი დეიკო ბახტაძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, სიძე თორნიკე ზვიადაძე, დისწულები კოკა, მაკო მეგრელიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**ქეთინო რუსიშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10, VIII, 17 სთ. ქ. თბილისი, ჟვანიას ქ. №2, გამოსვენება ვაკის სამების ეკლესიიდან 11 VIII, 15 სთ.**

დალი, აჩიკო ბახტაძეები მწუხარებას გამოთქვამენ მძახლის

**ქეთინო რუსიშვილის**

გარდაცვალების გამო.

შვილი ნანული გაბრიჩიძე, რძლები ლელა გამყრელიძე, ნატა ჭანტურიძე, შვილიშვილები ნანა, გიორგი ჭანტურიძეები, ლევან, თიკო გაბრიჩიძეები, სიძეები ვახტანგ ჭანტურიძე, გიორგი კუჭუხიძე, ვახტანგ ვასაძე. დები დომნა, ანიკო აბულაძეები, მძახლები დალილა შარვაშიძე, ტარიელ, შორენა ვასაძეები, გურამ, ნათელა კუჭუხიძეები, დისწულები, დეიდაშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თინა ვლასის ასული**

**აბულაძე-გაბრიჩიძე**

პანაშვიდი 10, 11 VIII, 17 სთ. მისამართი: ქანთარიას II შესახვევი №10 (ყოფილი გაგარინიძ. გამოსვენება 12 VIII, 15 სთ. სიონის საკათედრო ტაძრიდან. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

⊙ მარტივი რჩევები

# ვმართოთ რისხვა

**ხშირად ღიზიანდებით და ეს გიშლით ხელს ცხოვრებაში? გამოიყენეთ პროფესიული ფსიქოლოგების რჩევები. იქნებ, ეს რჩევები სასარგებლო აღმოჩნდეს თქვენთვის.**



**რჩევა პირველი, ყველაზე ქმედითი**
დაითვალეთ ათამდე. გაჭიმეთ დრო, იგი კურნავს გაღიზიანებასაც. შეიძლება ნელ-ნელა დალიოთ ნახევარი ჭიქა წყალი.

**რჩევა მეორე, სპორტული**
გაიარეთ ფეხით ან შეასრულეთ ფიზკულტურული ვარჯიში. თუ ოფისში ხართ, გადით კიბესთან და ფეხით იარეთ რამდენიმე სართული. მოძრაობა გვეხმარება.

**რჩევა მესამე, ყველაზე სასიამოვნო**
თუ საყვარელ ადამიანზე ბრაზობთ, ზედმეტი სიტყვების გარეშე მიდით მასთან და მოეხვიეთ.

**რჩევა მეოთხე, ზრდილობიანი**
ბოდიში მოიხადეთ. თუ გესმით, რომ დაუშვით უტაქტობა, ეს აღიარება მოგიხსნით გაღიზიანებას. თუ დარწმუნებული ხართ თქვენს სიმართლეში, ბოდიში მოიხადეთ იმისთვის, რომ აღელდით. ესეც სასარგებლო იქნება თქვენთვის ფსიქოლოგიურად, ასეთი რამ ხომ მხოლოდ სულით ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ!

**რჩევა მეხუთე, „წინმზირალი“**
ყოველთვის შეეკითხეთ საკუთარ თავს: „ყველაზე ცუდს რას შეიძლება ველოდო ასეთ სიტუაციაში?“ როგორც წესი, გაღიზიანების მიზეზების უმრავლესობა – წვრილმანია და უმნიშვნელო.

**რჩევა მეექვსე, გამამართლებელი**
შეეცადეთ აღიაროთ საკუთარ თავთან, რომ თქვენც ზოგჯერ მოქცეულხართ ისე, როგორც ის, ვინც გაღიზიანებთ. გაიხსენეთ ამ ქცევის მიზეზი, ეს დაგეხმარებათ, მოიხსნათ გაღიზიანება.

**ოქსანა გერასიმენკო**

# ჩირი ციფრებსა და ფაქტებში



**დღეში არაუმეტეს 200-300 გრამი ჩირის მიღებას გვირჩევენ სპეციალისტები.**

**5 გრამამდე ცილას და დაახლოებით 250 კილოკალორიას შეიცავს 100 გრამი ჩირი.**

მშრალი გარგარი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს გულზე მასში კალიუმის დიდი შემცველობის გამო, ამას გარდა ქერმის ჩირი – ონკოლოგიურ დაავადებათა შესანიშნავი პროფილაქტიკაა.

**ღეღვს ნორმალურ მდგომარეობაში მოჰყავს ფარისებრი ჯირკვლის საქმიანობა.**

50 გრამ ალუბლის ჩირს შეუძლია დააკმაყოფილოს სადღელამისო მოთხოვნა კობალტზე, B6 ვიტამინზე და მაგნიუმზე.

**ჩირის ზომიერი მოხმარება არ ზრდის შაქრის დონეს სისხლში, არც წონას.**

ყაბზობის დროს კარგია დავასველოთ და ძილის წინ მივირთვათ 100 გრამი ქლიავის ჩირი.

**ჩამიჩი ჩირის ბაზრის ლიდერია და მთელი მისი მოცულობის 16,7 პროცენტი უკავია. შემდეგ მოდის ქერმის ჩირი (14,8 პროცენტი) და შავქლიავი (10,8 პროცენტი).**

ჩირის კაშკაშა ფერი ქიმიური დამუშავების შედეგია. გარგარი და ყურძენი ახდენენ გოგირდის დიოქსიდის შებოლებას. ამ პროცედურის შემდეგ ჩირი კარგად უნდა გაირეცხოს ცხელი წყლით.

**აღმოსავლეთის ქვეყნების ბევრი ხალხი გაციებისა და თავის ტკივილის დროს მიირთმევს ფინიკს (ინდის ხურმას).**

80 პროცენტამდე ნახშირწყლებს შეიცავს ფინიკი, თანაც ეს არის ადვილად ასათვისებელი გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა. ცხიმები მასში ძალიან ცოტაა. სამაგიეროდ არის მაგნიუმი, სპილენძი, თუთია, რკინა, კალციუმი, ფტორი, რომლებიც იცავენ კბილებს კარიესისგან; სელენი, რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას და 23 ამინომჟავა, რომლებიც იშვიათადაა სხვა ხილში.

**მხოლოდ ფინიკი რომ ჭამოს, ადამიანს შეუძლია იცოცხლოს თვეების განმავლობაში, თანაც ამ დროს ღებულობს ყველა სასარგებლო ვიტამინსა და მიკროელემენტს.**

ЗДОРОВЬЕ

⊙ ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### საფრთხე ჟინვალიდან – თბილისს დატბორვა ემუქრება

წყალსაცავიდან მოვარდნილი ნიაღვარი, საგუშაგოების ირგვლივ დაჭაობებული სავარგულები, დაბალი ეკოლოგიური კულტურა – ყოველივე ეს დღესდღეობით ძალზე მწვავე პრობლემად დგას ჩვენს წინაშე. სპეციალისტები შიშობენ, რომ სადერივაციო სისტემაში არსებული ხარვეზების გამო ჟინვალში წყლის დონის მომატების შემთხვევაში, დედაქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიტბორება.

**„დღეს და ხვალ“.**

### ჯავახეთში „სირიელი სომხების“ ჩასახლება იგეგმება?

სირიაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა აქ მცხოვრებ სომხებსაც შეუქმნა პრობლემები. აზერბაიჯანული სააგენტოების მტკიცებით, ახლა სომხეთში „სირიელი სომხების“ პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოში ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს ელოდებიან. პოსტსაარჩევნო კრიზისისა და რუსების სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში კი ისინი სიტუაციით ისარგებლებენ და სირიელ სომხებს ჯავახეთში ჩაასახლებენ. სირიული პრესის ცნობით კი ლაზიკა სირიელი სომხების ფულით აშენდება.

**„ახალი თაობა“.**

### განდევნის თუ არა ელექტრონული წიგნი ნაბეჭდ გამოცემებს?

ელექტრონული წიგნის ფენომენი დროთა განმავლობაში სულ უფრო აქტიური ხდება. მართალია, ყველა მკითხველს ე. წ. ბუქრაიდზე ხელი არ მიუწვდება, თუმცა ელექტრონული წიგნის მკითხველთა რიცხვი თანდათან იზრდება და მათთვის ეს დიდ კომფორტთანაც ასოცირდება. ერთი ის, რომ ფულს ზოგავენ, რადგან წიგნის ელექტრონული ვერსიის ყიდვა გაცილებით იაფია, ვიდრე ტრადიციული წიგნისა, მეორეც, ერთ განყოფილებაში უამრავი წიგნის ჩატვირთვაა შესაძლებელი, თუმცა, როგორც ამბობენ, წიგნის ელექტრონულად კითხვა მოსახერხებელი ნამდვილად არაა.

**„რეზონანსი“.**

### რა სქემას ამზადებს მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში დასარჩენად?

ამ თემაზე „ალიას“ ესაუბრა „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე, – თუკი სააკაშვილი ახლა პრეზიდენტობიდან გადადგა, ამ შემთხვევაში მას უკვე მობილიზაციაში ბრალს ვერ დასდებენ და თუ ის სიის პირველი ნომერი გახდება, თავისთავად იგულისხმება, რომ „ნაციონალების“ უმრავლესობაში მოსვლის შემთხვევაში ის პარლამენტის თავმჯდომარე ხდება, შემდეგ მოახდენენ საკონსტიტუციო ცვლილებებს და პარლამენტის თავმჯდომარეს უფლებამოსილებებს გაუზრდიან.

**„ალია“.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

**ჩემი** ცოლი ყოველ საღამოს ბარებში დადის.
და ყოველ ჯერზე მპოულობს კიდეც ის წუპაკი.

* * *

– **ვაჟი** რომ მოგესწრება, როგორ რძალს ისურვებდი, შვილო? – ეკითხება რძალს დედამთილი.
– მე რომ ვარ, ზუსტად ისეთს!
– ღმერთმა შეგახვედროს!

* * *

**ბენია** შეკაზმულ ცხენს მიუძღვება.
– საით გაგიწევია, ძამა? – ეკითხება სილიბისტრო.



– ვანიჩქასთან მივდივარ, მომენატრა და უნდა ვინახულო.
– მერე რატომ მიდიხარ ფეხით, ცხენზე ვერ შეჯდები?
– ცხენმა რა იცის, სად ცხოვრობს ვანიჩქა, კაცო?!

* * *

**მიხომ** ტაქსი გააჩერა.
– თავისუფალი ხარ? – ეკითხება მძღოლს.
– ჩაჯექი!
– რას დაწერს ვაკემდე?
– „ვეფხისტყაოსანს“.

* * *

**ლადიკოს** ყურის ანთება შეეყარა. ექიმი შეწუხდა, შეიძლება ტვინზეც იმოქმედოსო.
– აჰ, მაგის ნუ გეშინიათ, სადა აქვს ტვინი, – დააიმედა ბენიამ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77; 599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24